

სამეგრელოში მოვეს რას წაქართველოთ უნახი - რაიას წაქართველოთ

# სამეგრელო

№ 4 (41) 1.04.2015 - 1.05.2015

ფასი 2 ლარი

ქოველთვიური გამოცემა



**ქართული გენის გაბრწყინება  
კალიფორნიაში**

**მსახიობი და კინორეჟისორი  
ზეპა სიხანულიძე**





**ბექა  
სინარულიძე**

# HOLLYWOOD

## ქართული ფენის უზნონიერება ყალიბდობისში

კალიფორნიაში საერთაშორისო კინო ფესტივალზე ქართულმა ფილმმა „ბაბუს მევალე“ Award of Merit პრიზი მოიგო. ფილმის რეჟისორი და სცენარისტი ახალბედა რეჟისორი და შემგარი პოლივუდის მსახიობი ბექა სინარულიძეა.

19 წლის სამშობლოდან წავიდა. თავიდანვე ლამაზი იყო, შველივით, მოხდენილი, ძლიერი, მშრომელი და მიზანდასახული. ბავშვმა პოლივუდში ფენი მოიკიდა, ნელ-ნელა ცხოვრებაც მოიწყო და საკუთარი ბიზნესიც შექმნა. შემდეგ სწავლას მიჰყო ხელი, გენები მეტად გააქტიურდა და საუკეთესო მსახიობიც გახდა. პოლივუდში 9 ფილმში ითამაშა, მოგვიანებით რეჟისორობა მოინდომა. შესაფერისი განათლებაც მიიღო და ძალები მშობლიურ ქვეყანაში მოსინჯა, მამის, გივი სინარულიძის ნოველის მიხედვით სცენარი დაწერა და მოკლემეტრაჟიანი ფილმიც გადაიღო. აი ასე შედგა მისი სადებიუტო ფილმი. ფილმში მოთხრობილია ამბავი მატყუარა და აფერისტ ადამიანზე, რომელიც გარდაცვლილი ადამიანების ოჯახებში მიდის, მათ მეგობრებად ასალებს თავს და ჭირისუფლებს უცხადებს, რომ მიცვალებულს მისი ვალი ჰქონდა.



ბექა ვალ პრიზიანი ქართული  
**ბაბუს მევალე**



**ვილივილი  
„ბაბუს მევალე“**


მთავარ როლებს ასრულებენ: ლიკა ქობულაძე, ცოტნე ნაკაშიძე, თავად ბექა სინარულიძე და დონარა გვრიტიშვილი. მუსიკა ფილმისთვის კომპოზიტორმა ნუნუ გაბუნიაშვილმა დაწერა.

ფილმი კინოფესტივალზე წარდგენამდე შეაფასეს რეჟისორებმა საქართველოში (ბუბა ხოტივარი) და პოლივუდში. მისმა მასწავლებელმა ფილმის ნახვის შემდეგ მონაფეს შემოქმედება შეუქო და უთხრა; მე ამაზე უკეთესად ვერ გადავიღებდიო. ბექას პოლივუდური დღეები ერთმანეთზე უფრო წარმატებულია, ის ხომ პოლივუდში საქართველოს სახეს წარმოადგენს.

გამარჯვებებს ვუსურვებთ ახალგაზრდა ნიჭიერ შემოქმედს და გზას დავულოცავთ შემდგომი წარმატებისაკენ.



# ს ა რ ჩ ე ვ ი

	ბზობა ..... 2		ივანე რომაშია..... 23
	ბზობა-ბაიაობა		ზუგდიდი სრულიად
	საქართველოში..... 2		საქართველოს ამცნობს..... 24
	ხარება ..... 4		ვალერიან გუნია ..... 27
	წითელი პარასკევი..... 5		ხობი სრულიად საქართველოს ამცნობს ..... 28
	ქრისტეს აღდგომის		მარტვილი სრულიად
	ბრწყინვალე დღესასწაული ..... 6		საქართველოს ამცნობს..... 30
	ფოთის აღმაშენებელი		რამეთუ მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ - რჩეულნი ..... 32
	ნიკო ნიკოლაძე ..... 8		გავააპრილე — ნინო კემულარია
	ღვთითკურთხეული კაცის		ბზობა — ნინო კემულარია
	უკანასკნელი გზა — ნაული		აღდგომა — ნინო კემულარია .... 35
	ჯანაშია..... 14		9 აპრილის სისხლიანი
	გრძნობას გზა მივეცი და ჩაქრა		ქრონიკა..... 36
	სანთელი — ლელა ნინუა ..... 18		სეზონური ალერგია..... 38
	რა აკავშირებს აკაკი წერეთელს		მეგრულ-ქართული
	დადიანებთან..... 19		ლექსიკონი..... 40
	მეუღლის სურათთან — გივი		
	სიხარულიძე ..... 20		
	ო, ენავ ჩვენო..... 21		

მთავარი რედაქტორი —  
**ნინო რახვიაშვილი**

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —  
**გიორგი გუტაშვილი**

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**დალი ჯვარციანი**

ტექსტი ააწყო

**თამარ გომინაძე**

მისამართი: თბილისი, ლესელიძის

ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10

ელ-ფოსტა: [nino153@mail.ru](mailto:nino153@mail.ru)

ჟურნალი „სამეგრელოს“ ემიგრანტ მეგრელებს  
და არა მარტო მათ, გთავაზობთ თანამშრომლობის

პროექტს - გამოგვიგზავნეთ მასალები,

ფოტოსურათები, რითაც შეძლებთ მოეფეროთ  
თქვენს მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე

დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

**მეირფასო მკითხველო!**

გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება  
სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!



# ბზობა

იესო ქრისტე სახედარზე ამხედრებული შედის იერუსალიმში, ხალხი ეგებება, პალმის ტოტებს უფენს და შესძახის: „ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა, მეუფე ისრაელისაჲ!“ (იოანე, 12,13). თითქოსდა ქრისტიანობა დღესასწაულობს – ქრისტეს ეთავყვანება წმინდა ქალაქი, მთელი ხალხი აღტაცებით ხვდება მას. მაგრამ სულ მალე გახდება ცხადი, რომ ვისაც ელოდნენ, ის თურმე არ სჭირდებათ – ელოდნენ პოლიტიკურ ბელადს, ვინც მათ გაათავისუფლებდა მინიერი მტრისგან - ოკუპანტი რომაელებისაგან, და არა გაცილებით საშიში მტრისგან – ეშმაკისაგან. ამიტომ, ბრბო, რომელიც დღეს იძახის: „ოსანა ძესა დავითისას“, ხვალ დაიძახებს: „ჯვარს აცუ ეგე“!



იერუსალიმში შესვლისას, იესო, პირველ ყოვლისა, ტაძრიდან გამოყრის ყველამყიდველსა და გამყიდველს, ააყირავებს მეკერმეთა ტაბლებს და მტრედებით მოვაჭრეთა მერხებს. თანაც მკაცრად განმარტავს საკუთარი საქციელის მიზეზს: „ჩემი სახლი სალოცავ

სახლად იწოდება; თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევით იგი“ (მათე. 21:13). ამის შემდეგ იესო კურნავს უსინათლოებსა და ხეიბრებს.

ბზობის დღესასწაული სიმბოლოა, ერთი მხრივ, იესო ქრისტეს მისიის აღიარების, მეორე მხრივ – წინარე სახეა ადამიანის ძის სამოთხეში შესვლისა. ის, რომ

მაცხოვარი შედის ქალაქში ვირზე ამხედრებული, ბულისხმობს მშვიდობის და არა ომის, მოსურნეობას (სიმბოლურად ვირზე ამხედრება – მშვიდობის ნიშანი, ცხანზე – ომისა).

მწუხრის ლოცვაზე დამსწრე მორწმუნენი ბზებით, ყვავილებით და ანთებული სანთლებით ხელში, მიესალმებიან უხილავად იერუსალიმს მომავალ მაცხოვარს, როგორც ჯოჯოხეთისა და სიკვდილის დამთრგუნველს. ცისკრის ლოცვისას ბზის ტოტები, რომლებიც ხელში უჭირავთ მორწმუნეებს, იპყურებიან ნაკურთხი წყლით. მართლმადიდებელი ქრისტიანები ნაკურთხ ბზის ტოტებს მთელი წელი იხაზავენ და მათ ხატების მოსართავადაც იყენებენ.

## ბზობა-ბაიობა საქართველოში

ბზობა, იგივე ბაიობა ათთორმეტ ქრისტიანულ დღესასწაულს განეკუთვნება. ბზობა მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის აღსანიშნავად იდღესასწაულება, როდესაც იესო ქრისტეს იერუსალიმში ხალხი პალმების რტოებით, ფეხქვეშ გაგებულ საშოსითა და მადიდებელი შეძახილებით – ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა – შეეგება. იმ კურთხევაში თუ ქრისტიანულ ქვეყნებში, სადაც პალმა არ ხარობს, ადგილობრივ დადგენილი ტრადიციის მიხედვით სადღესასწაულოდ ის მცენარე იხმარება, რომელიც გაზაფხულზე ამ დროს იქ ხარობს.

ბზობა-ბაიობა, როგორც ეს საეკლესიო კალენდრის მიხედვითაა დადგენილი, აღდგომის წინა კვირას მთელ საქართველოში იდღესასწაულება.

დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციების

შესახებ გვესაუბრება ნინო ღამბაშიძე (ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი):

სამეზრელოში ბზობა-ბაიობას ბაიას ყვავილს, რომელიც ფერის გამო ხალხისთვის მზესთან იყო ასოცირებული, სახლში, იატაკზე წრიულად დააფენდნენ და ზედ კვერცხებს გადააგორებდნენ. ამ კვერცხებს სააღდგომოდ აუცილებლად შეღებავდნენ. ბზობას ამზადებდნენ ფხალეულს, რომელშიც ბაიას ყვავილს აუცილებლად გაურევდნენ. სწამდათ, რომ ფხალეულის შეჭმის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში ენერგიით სავსენი იქნებოდნენ. ბზობისთვის ასევე უნდა ეჭამათ თევზი. ეკლესიაში კურთხევის შემდეგ ბზა სახლში მოჰქონდათ. მას მიცვალებულსაც უდებდნენ საფლავზე და ერთმანეთსაც ჩუქნიდნენ. ზოგან მამაკაცები იკრიბებოდნენ და ბზებით ეკლესიას



სიმღერით გარს უვლიდნენ. ისინი ბზას ეკლესიაში მისულ ხალხს ჩუქნიდნენ.

**რაჭა-ლეჩხუმი** ეს დღე უქმე იყო. მიდიოდნენ ეკლესიაში და იქიდან მოჰქონდათ ბზა. სახლში მოტანილ ბზას თავზე შემოივლებდნენ და ნაკვერჩხლებზე დადებდნენ. თუ აბრიალდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბზის პატრონი დიდხანს იცოცხლებდა, თუ მალე ჩაქრებოდა – ცოცხალი (ლეჩხუმი). რაჭაში ცეცხლში ჩაგდებული ბზა თუ ცეცხლის ალში ორჯერ ან სამჯერ წალმა დატრიალდებოდა, ეს კარგი წელიწადის მომასწავებელი იყო, თუ უკუღმა – ცუდის.

**სვანეთში** ბზობის საღამოდან მთელი მომდევნო კვირის ანუ ვნების კვირის განმავლობაში ლიროკინალი ანუ ბოროტი ძალის განდევნა იწყებოდა. ბზობის საღამოს ყველა ოჯახის უფროსს ტყიდან ეკალი მოჰქონდა, რომლის ტოტებს კარის ქვეშ, ყველა ფანჯარასა და ნახვრეტში დებდა, რათა სახლში ბოროტი ძალა არ შესულიყო. ლიროკინალის წესი ამგვარად სრულდებოდა: ოჯახის უფროსი ხელში იღებდა პატარა ნაჯახს, დანარჩენი ბავშვები და მამაკაცები მუგუზალებს და გამოვლიდნენ გარეთ, თან იძახდნენ: „ფუი! უწმინდურო ძალო, დაგენვათ ფრთები! შეეცნობთ და გამოგარჩევთ ისევე, როგორც შავ ცხვრებს თეთრებისაგან. თქვენ შესახებ ხსოვნა თორმეტი მთის იქით. წმინდა გიორგის ბეჭდით ხართ დაბეჭდილები; ლითონის იარაღით ხართ დაჭდევებულები. აიღეთ კბილებით ქვის ფილა, ჩვენთან კი ჯვრისა ძალაა! ქვიშისა და ქვის ფილის გარდა სხვა არავითარი საჭმელი არ გქონდეთ!“ ამის შემდეგ ოჯახის უფროსი ნაჯახის ყუას ურტყამდა ქვას და ამბობდა: „დაე აქციეთ ქვად თქვენი მომავალი!“ დანარჩენებიც იმავეს იმეორებდნენ და აკეთებდნენ. ბოროტი ძალების განდევნის ამ წესს ყველა ოჯახი ვნების ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს ასრულებდა.

**სვანეთის** ყველა სოფელში ბზობის საღამოს გოგონები უკაცრიელ სახლში იკრიბებოდნენ და მღეროდნენ ე.წ. ლიგლოვი – კირიელოს (კირიე ელისონს): „ქრისტე! მიუტევე ცოდვები ჩემ გარდაცვლილს (დაასახელებდნენ) და დღეგრძელი და ყველა საქმეში წარმატებული ამყოფე ჩემი ნათესავი (დაასახელებდნენ) და ოჯახის წევრი (დაასახელებდნენ)“. თითოეული გოგონა ჩამოყვებოდა და მოიხსენიებდა თავის მიცვალებულებს და ცოცხლებს, დანარჩენები კი მასთან ერთად იმეორებდნენ. გარეშეს, ვისაც ლიგლოვაში მისიანების მოხსენიება ენდომებოდა, როგორც ცოცხლების ასევე მიცვალებულების, მომღერლებისთვის კაკალი ან მარილის ნატეხი უნდა მიეცა, თითქოსდა იმის გამო, რომ მაცხოვარს მათი ლოცვები შეესმინა. გოგონები ვნების კვირაში, ოთხშაბათ-პარასკევის გარდა, ამ წესს სიმღერის გარეშე ასრულებდნენ. ხალხის რწმენით ამ



დღეებში არ ვარგოდა სიმღერა.

**მსხეთში** ბზობას ქალებს მინდვრიდან თოვლი მოჰქონდათ და გზაში ჭამდნენ, შინ კი ოჯახის წევრებს და საქონელს გადაყრიდნენ, თან ამბობდნენ: „ბზო, ბზო, ბუზებო, აქაურობას მოშორდით“. ხალხს სწამდა, რომ ამ წესის შესრულების შემდეგ ბუზები მათ აღარ შეანუხებდნენ.

**პანეთში** ბზობას ხალხი ეკლესიაში მიდიოდა. ბზა ზეთისცხების შემდეგ სახლში მოჰქონდათ. აქაც თვლიდნენ, რომ თუ ბზას ბევრი მარცვალი ჰქონდა, პურის უხვი მოსავალი ექნებოდათ, თუ არა და პირიქით. ბზობას კახეთში მიცვალებულებისთვის წანდილს ხარშავდნენ, აკეთებდნენ ზურგიელს. კახეთში სწამდათ, რომ თუ ზურგიელს არ შეჭამდნენ, მათი მიცვალებულები საიქიოში წყალს ვერ დალევდნენ. მათ წყალთან არ მიუშვებდნენ. ეკლესიიდან ბზა რომ მოჰქონდათ, ერთმანეთს დაარტყამდნენ, თან გაუღექსავდნენ:

„აჰა, ყვაო ბზა, ეკერიოს გზა,  
მიტრიალდი, მოტრიალდი,  
გაოხრდი და გატრიალდი.“

ხალხი ცდილობდა მთელი დღის განმავლობაში ყვავი არ დაენახა: ყვავი წინილას აღარ შეჭამსო. ხალხში ასეთი გამოთქმა არსებობს: „ბზობის ყვავივით გაქრაო“, რაც ვისმეს ერთბაშად გაუჩინარებდას ნიშნავს. მთელი ზამთრის განმავლობაში ყვავი სარჩოს საძებნელად სოფელს დასტრიალებს. ხალხის დაკვირვებით გაზაფხულზე, რომლის დადგომასაც იგი ბზობას უკავშირებდა, ყვავები სოფლის მახლობელ ტყეებში მიფრინავენ, სადაც საკვებს უხვად პოულობენ, ბზობის შემდეგ კი სოფელში იშვიათად ჩანან.

კახეთში ბზობას საქმის კეთება იცოდნენ, – ყველაფერი ბარაქიანი იქნებო. უფრო: სიმინდს, ლობიოს, კიტრს თესავდნენ – ბზასავით დაისხამსო. კახელებმა კარგად იცოდნენ, რომ ხარება და ბზობა შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს, შესაძლოა, ხარება წინ უსწრებდეს ბზობას, ან პირიქით. იმ შემთხვევაში, თუ ხარებობა ბზობას მოსდევს, ხალხის თქმით თევზით არ ხსნილდება, რაც საეკლესიო ტიპიკონს სრულად შეესაბამება.



# ხ ა რ ე ბ ა

## რა უხერხულობა წარმოვსა ქალწულის ფხეპიშობამ და როგორ აუხსნა ყოველივე ეს მთავარანგელოზმა იოსებს

ხარება ერთ-ერთი საუფლო დღესასწაულია ქრისტიანულ ეკლესიაში. უძრავი დღესასწაული ძველი სტილით 25 მარტს აღინიშნება, ახალი სტილით კი – 7 აპრილს.

ხარება სახარების მიხედვით, გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა ქალწულ მარიამს, რომ ის შობდა მესიას, იესო ქრისტეს.

რამდენადაც ხარება დაკავშირებულია ქრისტეს დაბადებასთან, ამდენად, ის არის კაცობრიობის ხსნის დასაბამი.

ხარების დღესასწაულის შესახებ წმ. გიორგის სახელობის ტაძრის დეკანოზ **კონსტანტინე ჯინჭარაძეს** ვესაუბრეთ:

„ძველი აღთქმის კაცობრიობა ელოდებოდა მესიის გამოჩენას სწორედ იმ პერიოდისათვის, როდესაც ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე განკაცდა.

უამრავი წინასწარმეტყველება იყო ძველ აღთქმაში. ალბათ, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ისაიას წინასწარმეტყველება, რომ ქალწულისაგან იშვებოდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე არა ბუნებრივი გზით, არამედ სულიწმიდის მადლით.

ყოვლდწმიდა ღვთისმშობელი ტაძარში იზრდებოდა და მისი ცხოვრება ლოცვით, მარხვითა და კეთილი საქმით იყო გაჯერებული. ის ყოველთვის ნატრობდა, ღმერთს მიემადლებინა მისთვის იმ ქალწულის მსახურება, რომელიც შობდა მაცხოვარ იესო ქრისტეს. აი, ასეთი თავმდაბლური თხოვნა ჰქონდა მას ღვთის მიმართ.

გაბრიელ მთავარანგელოზის ხარება, რომ ის იქნებოდა ქალწული, რომელიც შობდა მესიას, წმიდა მარიამისათვის გასაოცარი იყო. გასაოცარი არა იმიტომ, რომ ანგელოზი იხილა. ჯერ კიდევ ტაძარში მსახურების დროს ხშირად მოდიოდა მასთან ანგელოზი, რომელთანაც სულიერ კავშირში იყო. მაგრამ ღვთისმშობელს აკვირვებდა მეორე რამ: როგორ შეიძლებოდა ეს მასში მომხდარიყო, როგორც ქალწულში? და როდესაც ანგელოზმა უთხრა, რომ ეს სულიწმიდისგან იქნებოდა, მაშინ მარიამმა მიუგო: „აჰა, მხევალი ღვთისა, იყოს ნება ღვთისა ჩემზედა“.

ქალწული მარიამი მიდის თავის ნათესავებთან



– ელისაბედთან და ზაქარიასთან, წმიდა იოანე წინასწარმეტყველის მშობლებთან, რადგან სურს, გაუზიაროს თავისი შინაგანი, სულიერი ხედვა და დამოკიდებულება. ცნობილი სახარებისეული სიტყვები მინდა მოვიყვანო. როდესაც ელისაბედი შეხვდება მას, პირდაპირ ეუბნება: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა“.

აქ არის კიდევ ერთი გარემოება გასათვალისწინებელი. იოსები იყო დანინდული ყოვლადწმიდა ღვთისმშობელზე და არა – დაქორწინებული. იოსები ასაკოვანი გახლდათ.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ჰქონდა აღთქმა დადებული ღვთის წინაშე, რომ არ გათხოვდებოდა და თავის ცხოვრებას ღმერთს შესწირავდა. როგორც აღთქმის დამდებ ადამიანს, უნდა შეესრულებინა სიტყვა, მაგრამ მეორე გარემოება გახლავთ ის, რომ ძველი რჯული კრძალავდა ქალწულებრივ ცხოვრებას. ქალი აუცილებლად უნდა გათხოვილიყო. ამიტომ ერთი-და-მეორეც რომ დაეცვათ, გადანყვიტეს, ქალწულებაც შეენარჩუნებინა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს და დაენინდათ კიდევ მოხუცებულ ადამიანზე, რომელიც, ფაქტობრივად, მისთვის არა – ქმარი, არამედ მზრუნველი და პატრონი იქნებოდა. თავდაპირველად იოსებმა არ იცოდა, რომ მარიამი სულისაგან წმიდისა იყო მიდგომილი.

ძველი სჯულის თანახმად, თუ ის გაიფიქრებდა, რომ მარიამმა უღალატა, ქალწულს ჩაქოლვის საფრთხე დაემუქრებოდა, მაგრამ იოსები დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით გამოირჩეოდა მის მიმართ, ამიტომ ფარულად მისი განტყევა განიზრახა, ვინაიდან მას ბრალი არ დასდებოდა ამ ცუდ საქმეში და ამით, პირიქით, დანაშაული თავის თავზე აიღო.

როდესაც გულთამხილავმა ღმერთმა დაინახა ეს ყოველივე, მასაც გაუგზავნა ანგელოზი, რომელმაც აუწყა, რომ მარიამის ფხეპიშობა სულისაგან წმიდისა იყო და არა – კაცისაგან. მთავარანგელოზმა პირდაპირ დაავალა იოსებს, რომ ეზრუნა მასზე და მიეხედა, როგორც ამას იუნყებოდა წმიდა წერილი.

ამის შემდეგ უკვე იოსებში ყველა ეჭვი გაქარწყლდა



# კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა

და დაიწყო სწორი სულიერი ცხოვრება მასთან ქალაქ ნაზარეთში, მოკრძალებულ სახლში.

იოსები დაკავებული იყო დურგლობით. მაცხოვრის შობის შემდეგ კი ის მზრუნველობით ზრდიდა უფალს ჩვენსას ისეო ქრისტეს, მასაც ასწავლიდა დურგლობასა და ყოფით საქმეებს.


სარება იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ სწორედ ამ ხდება განახლება, გამოწყობა კაცობრიობის ცოდვებისა. ევამ შესცოლა ღვთის წინაშე და საჭირო იყო ახალი ევას დაბადება.

წმიდა წერილი ბრძანებს, რომ ღვთისმშობელი

ახალი ევაა. ადამის პირველქმნილი ცოდვა მთელ კაცობრიობას მოედო და საჭირო იყო გამოსყიდვა. განკაცებულმა ძე ღვთისამ, მეორე იპოსტასმა წმიდა სამებისამ, ინება მოსვლა დედამინაზე ყოვალდწმიდა ღვთისმშობლის საშოდან და ფაქტობრივად, გამოგვისყიდა თავისი ცხოვრებით, ჯვარცმით, აღდგომითა და ამაღლებით ადამის ცოდვისაგან.

ხარების დღეს განსაკუთრებულად ზეიმობს ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი.

**ქეთი ჭალიკა**



უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულამდე ქრისტეს 3 დღე დარჩა. სწორედ 3 დღით ადრე, პარასკევს ყველა ქრისტიანის ოჯახში კვერცხები წითლად იღებება და ზოგან პასკევიც ცხვება. ამ დღეს წითელ პარასკევს უწოდებენ, რადგან სწორედ მაშინ ეცვა უფალი ქრისტე ჯვარს საკუთარი ხალხის განაჩენის მიხედვით და **3 დღის შემდგომ ბრწყინვალედ აღსდგა!**

წითელი პარასკევი დიდი მარხვის ყველაზე მძიმე დღეა. ამ დღეს ტაძრებში წირვა არ აღესრულება, რადგან ადამიანთა ცოდვებისგან გამოსახსნელად უფალმა საკუთარი თავი მსხვერპლად შესწირა. მსახურებისას სამეფო უამნი შესრულდება, რომლის დროსაც უფლის ვნების შესახებ სახარება იკითხება.

## **რა კავშირშია აღდგომასთან წითელი კვერცხი?**

არსებობს გადმოცემა, რომ ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მონაფეხები სხვადასხვა ადგილებში დაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. საქადაგებლად გაეშურა მარიამ მაგდალინელიც, რომლისგანაც მაცხოვარმა შვიდი ეშმაკი განდევნა და რომელმაც ღვთისმშობლის შემდეგ პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი უფალი.

წმიდა მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორის სასახლეს მიაშურა. იგი ცნობილი პიროვნება იყო და ამიტომ დაუბრკოლებლად გაატარეს სასახლეში. მან იმპერატორ ტიბერიუსს საჩუქრად კვერცხი გაუწოდა და ახარა: „ქრისტე აღსდგა“. იმპერატორმა ქალს ეჭვით შეხედა და წამოიძახა: „როგორ შეეძლო მკვდარს აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი განითლდესო“. სიტყვები ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კვერცხი

მართლაც განითლდა. ამ დღიდან მოყოლებული ქრისტიანები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს წითელი კვერცხებით ეგებებიან.

გარდა ამისა, კვერცხი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა, რადგან მისგან ცოცხალი არსება იბადება, იესო ქრისტემ კი ადამიანებს სიცოცხლე მიანიჭა. წითელ ფერში სისხლი მოიაზრება, რადგან იესო ქრისტემ თავისი სისხლით სიცოცხლე განწმიდა და აკურთხა.

## **როგორ შევღებოთ კვერცხი?**

კვერცხის შეღებვის ტრადიციული საშუალებაა ენდრო. ერთი შეკვრა ენდრო კარგად გავრეცხოთ და დავჭრათ (ან დავჩეჩქვოთ), დავასხათ 1-1,5 ლიტრი წყალი, ჩაყარეთ 2-3 ხახვის გარეთა ფურცელი, 1 ჩაის კოვზი მარილი, დავდგათ ცეცხლზე და 15-20 წუთი ვადულოთ. წყლის ადულების შემდგომ გადმოვდგათ ცეცხლიდან და კარგად რომ გაცივდება ჩავანყოთ 20 კვერცხი (თუ ბევრს ერთად მოვხარშავთ, კარგად არ შეიღებება და შეიძლება დასკდეს კიდევაც). თუ წყალმა კვერცხი ვერ დაფარა, ჩავამატოთ, რამდენიც საჭიროა და 20-25 წუთი ვხარშოთ ნელ ცეცხლზე, შემდეგ ფრთხილად ამოვიღოთ და შეგვიძლია ცივ წყალში გადავანყოთ ათიოდე წუთით (ასე გაცივებული კვერცხი ადვილად გაიფცქვება). შემდგომ თუ გვსურს რომ კვერცხმა ბრწყინვალეობა მიიღოს, შეგიძლია ზემოდან ზეთი გადავუსვათ.

სასურველია თუ კვერცხს ჯეჯილზე დავანყოთ. ჯეჯილის მომზადება ადრე უნდა დაიწყოთ სველ ბამბაზე ხორბალი უნდა დათესოთ მინიმუმ 2 კვირით ადრე.



# ქრისტეს აღდგომის ზნეყინვადა დღესასწაული



აღდგომის დღესასწაულის თარიღი მოძრავია. წელს ქრისტეს აღდგომას 12 აპრილს ვზეიმობთ. აღდგომის დღესასწაულს წინ უძღვის დიდი მარხვა. გარდამოხსნა „ჯვარცმული ქრისტე კლდეში გამოკვეთილ საფლავში დაასვენეს და ლოდი მიაგორეს, დაუყენეს მცველთა დასი. შუალამისას მოხდა დიდი მიწისძვრა და როგორც მახარებლები აღწერენ, იყო დიდი ნათელი. მცველები უგრძნობლად დაეცნენ. მოხდა უდიდესი სასწაული: ქრისტე აღსდგა! აქედან შეიძლება უკვე მივიჩნიოთ, რომ დაიწყო აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნა. შემფოთებულმა სინედრიონის წევრებმა, რომლთაც უფალი გასცეს და მიუსაჯეს ასეთი სიკვდილი – ჯვარცმა და სატანჯველი, მოსყიდეს მცველები ფულით, რომ ეთქვათ, თითქოს უფალი კი არ აღსდგა, არამედ მისმა მიმდევრებმა

მოიტაცეს გვამი და ამაზე ისინი პასუხისმგებლები არ იქნებოდნენ, რადგან უფროსებთან უკვე მოლაპარაკებულნი იყვნენ.

მოგეხსენებათ, რომ ქრისტე ყოვლისშემძლე ღმერთია, რომელმაც იპოსტასურად მიიღო ადამიანური ბუნება – ქრისტე – ღმერთი, ქრისტე – კაცი, ანუ ჩვენი ბუნებრივი კაცობა და, მაშასადამე, აღადგინა ჩვენი მომკვდარი ბუნება, მოგვანიჭა დახსნა ჩვენი ცოდვებისაგან და აღსდგა”.

აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნას თანამედროვე სახე IV საუკუნიდან მიეცა. თავდაპირველად მხოლოდ ვნების დღეებს ზეიმობდნენ. ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის (დღისა და ღამის თანასწორობა) მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს.

„აღდგომის დღესასწაულის თარიღი მოძრავია. მითითებულია, რომ არ უნდა ემთხვეოდეს იუდეველთა დღესასწაულს და გაზაფხულის პირველი კვირიდან მთვარის განახლებამდე პერიოდში უნდა აღინიშნოს. ეს რამდენად მართებულადაა დადგენილი, ამას ზეციური ცეცხლის გადმოსვლაც მონიშნავს.

ზეციური ცეცხლის გადმოსვლა უფლის სასწაულია. ეს მოვლენაც ისეთივე ბუნებრივია, როგორც მზისა და მთვარის ამოსვლა და ჩასვლა. ეს არის უშუალოდ ღვთის განგებულება და ზაზუნებრივი მოვლენა, რომ ყოველ აღდგომას ნიშნად აღდგომის დღესასწაულის მოახლოებისა, იერუსალიმის აღდგომის ტაძარში ღრუბლის სახით ჩნდება ცეცხლი, რომელიც ელვისებურად გადმოდის ზეციდან და ყველა ჩამძრალი კანდელი ინთება. ამის შემდეგ შუალამიდან იწყება აღდგომის საეკლესიო მსახურება და, ტიპიკონის განწესებულებისამებრ,



ბრძელდება დილაღად.

ყოველი ქრისტიანი აღდგომის დღესასწაულს ცოდვებისაგან განწმედილი უნდა შეხვდეს. უნდა დაიცვას მარხვა, თქვას აღსარება, ეზიაროს, შეეცადოს, საღმრთო რჯულის წესები დაიცვას, მისი სინანული იყოს ნამდვილი და არა – ზერელე, არ დაივინყოს, რომ თვითონ ქრისტემ იმარხულა 40 დღე-ღამე. დიდმარხვაში ბევრი ავადმყოფი ადამიანი განკურნებულა მარხვითა და ლოცვით. თუ პიროვნებას უფლის სიყვარული აქვს, მან არ უნდა იფიქროს თავის სნეულებაზე, რომ ვერ შეძლებს მარხვას, არამედ სწამდეს, რომ ქრისტე მიუძღვის მას მარხვით, ისიც ამგვარადვე უნდა შეუდგეს უფლისაკენ მიმავალ გზას, იმ რწმენითა და სიყვარულით, რომ მაცხოვარი მას კურნებასა და მშვიდობას მისცემს. დიდი მარხვის დასრულების შემდგომ კი იგი იგრძნობს, მასში რაღაც განახლება მოხდა და სიხარული დაიშვა, რომ ქრისტე წინ წარუძღვა და დიდი ბრწყინვალეებისა და ნათლის განცდა მიეცემა. როცა ეს დღესასწაული დიდი ზეიმით დასრულდება, ის ქრისტესთან და მის წმიდანებთან ერთად დიდი, წარუვალი და წარუშლელი სიხარულის მოწმე შეიქმნება.”

წესად დამკვიდრდა სასაფლაოზე აღდგომის დღეს, კვირას გასვლა, რაც მართებული არ არის. ამ დროს ადამიანს გლოვა არ შეშვენის. ყოველი ქრისტიანი საფლაოზე მეორე დღეს, ანუ ორშაბათს უნდა გავიდეს, რათა მიცვალებულსაც ახაროს ქრისტეს აღდგომა.

ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს საფლაოზე გასვლა ხალხის მიერ შემოღებული ტრადიციია, მაგრამ იქ მიცვალებულს არ იხსენიებენ, უბრალოდ ახარებენ, რომ ქრისტე აღდგა! მიცვალებულისათვის ლოცვა და პანაშვიდის გადახდა ამ დღეს არ არის მიღებული. მიცვალებულის მოხსენიება კი ხდება ერთი კვირის გასვლის შემდეგ, თომას კვირის სამშაბათს. ეკლესიაში აკეთებენ სააღდგომო საკურთხეს, სრულდება წირვა სააღდგომო წესით ტიპიკონის შესაბამისად და სააღდგომო პანაშვიდზე იხსენიებენ მიცვალებულებს და აკურთხებენ საკურთხეს.

აღდგომის დღესასწაული ერთი კვირის მანძილზე გრძელდება. ამ კვირას ბრწყინვალე შვიდეული ეწოდება. მისი თითოეული დღე განსაკუთრებული მადლითაა აღსავსე და ყველა საეკლესიო წესს განსაკუთრებული ელფერი აქვს. წირვა-ლოცვა ამ

კვირისათვის დამახასიათებელი რიგით სრულდება, განსხვავებულია მიცვალებულის წესის აგებაც, ცვლილება ჩვენს ყოველდღიურ ლოცვებშიც. ამ კვირაში შემსუბუქებულია ზიარებისთვის მომზადებაც: მარხვის დაცვა არაა საჭირო, ხორცის მიღება ზიარების წინა დღესაც კი შეიძლება.

**ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს  
საფლაოზე გასვლა ხალხის მიერ  
შემოღებული ტრადიციია, მაგრამ იქ  
მიცვალებულს არ იხსენიებენ, უბრალოდ  
ახარებენ, რომ ქრისტე აღდგა! მიც-  
ვალებულისათვის ლოცვა და პანაშვიდის  
გადახდა ამ დღეს არ არის მიღებული.  
მიცვალებულის მოხსენიება კი ხდება  
ერთი კვირის გასვლის შემდეგ, თომას  
კვირის სამშაბათს.**

იცვლება მისალმების წესიც. აღდგომიდან 40 დღის განმავლობაში ქრისტიანები “გამარჯობის” ნაცვლად ერთმანეთს ახარებენ: “ქრისტე აღდგა!”

ბრწყინვალე შვიდეულში დილა-საღამოს ლოცვების მაგივრად სააღდგომო საკითხავებია დანესებული. მათ ჟამნობა ეწოდება. ასევე, იკითხება სააღდგომო ძლისპირები, ან იგალობება, ვისაც გალობა შეუძლია. ეს მთელი კვირის განმავლობაში გრძელდება, შაბათიდან კი გადავდივართ ჩვეულებრივ ლოცვებზე, მხოლოდ „მეუფეო ზეცათაოს“ ნაცვლად იკითხება „ქრისტე აღდგა მკვდრეთით“ სამგზის და „ღირს არსის“ ნაცვლად „ანგელოზი ღაღადებს“. ბრწყინვალე შვიდეულში აღარ იკითხება ფსალმუნები, თუ ჯგუფურად ასრულებენ ფსალმუნებს, შეუძლიათ გაგრძელება, რადგან მისი შეწყვეტა არ შეიძლება. სხვა შემთხვევაში ფსალმუნების კითხვას შაბათიდან განვაახლებთ.”

ამბობენ, ვინც აღდგომას, ან ბრწყინვალე შვიდეულში გარდაიცვლება, სასუფეველში მოხვდება, რადგან აღდგომისას დახშულია ჯოჯოხეთის კარი, სამოთხისა კი – პირიქით, გახსნილი და თუ უფალი ამ დღეებში ვინმეს გარდაცვალებას ინებებს, მათთვის ღიაა სასუფეველი ცათა.

ყველას გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

**მეტეხის ტაძრის  
წინამძღვარი მამა ანაკი მელიქიძე  
ისაუბრა: თათია ნაპროზაშვილი**





# ფოთის აღმშენებელი ნიკო ნიკოლაძე

დიახ, ნიკო ნიკოლაძეს ფოთის აღმშენებელი შეიძლება ვუწოდოთ. მან არა მარტო აღაშენა ფოთი და ნამდვილ ქალაქს დაამსგავსა, არამედ 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გადანვისა და დანგრევისაგან იხსნა. როცა რუსების გონებაშეზღუდულმა გენერალმა ალიხანოვ-ავარსკიმ (ავარიელმა) რევოლუციის აღში გახვეული თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო გადანვა და გადაბუგა, მაშინ მხოლოდ ფოთი გადარჩა. ფოთისაკენ დიდი ჯარით მიმავალ გენერალს მაშინდელი ქალაქის თავი ნიკო ნიკოლაძე გზაში შეეგება და შეაშინა: ფოთი უცხოეთშია დაზღვეული და თუ დააქცევთ, მთელი ზარალის ანაზღაურება პირადად ხელმწიფე-იმპერატორს მოუწევსო. ალიხანოვ-ავარსკი დაფრთხა-მეფე არ დავაზარალოთო და ჯარი უკან გამოაბრუნა. ასე

ნავსადგურის მშენებლობა დაიწყო, მოსახლეობა 100 კაცს აღწევდა, 1865 წელს, 1039-ს, ხოლო 1886 წელს ძლივს მიალწია 4709 ადამიანს. ქალაქში უპირატესი დასახლების უფლებას ვაჭრებსა და ხელოსნებს აძლევდნენ.

ნავსადგურის მშენებლობა 25 წელი გაგრძელდა, 7 მილიონზე მეტი მანეთიც დაიხარჯა, თუმცა არაორგანიზებული და უყაირათო მუშაობის გამო შედეგი ცუდი აღმოჩნდა – ნავსადგური გემების წყნარი დგომისათვის სრულიად მოუხერხებელი იყო, ქარიშხლის დროს კი გემების ღუზა იგლიჯებოდა და ისინი ხშირად იმტვრეოდნენ. ამიტომ აუცილებელი შეიქმნა ნავსადგურის რეკონსტრუქცია და პორტის ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვა.

ამ საქმეს თავი ვერც ქალაქის თავებმა მოაბეს (ივანე ვახრამოვი, ნესტორ თავდგირიძე, იონა მეუნარგია). თვითმმართველობის დაარსების 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არც ერთი კაპიტალური შენობა არ აგებულა, 1871 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის მისაღებად სახელდახელოდ აგებულ პავილიონს და კანცელარიას? მილიცია და სკოლა დაქირავებულ, დამპალი ხის სახლებში იყო მოთავსებული, რომლის საყრდენები ძლივს იმაგრებდა კედლებს. წვიმა და ქარი შიგ ადვილად ატანდა.

ყველაზე გონივრული, რაც თვითმმართველობამ დაარსების 11 წლის განმავლობაში გააკეთა, აღმოჩნდა ის, რომ ქალაქის ხმოსნებმა (დეპუტატებმა) თხოვნით მიმართეს ნიკო ნიკოლაძეს და იგი ქალაქის თავად მიიწვიეს.

1894 წლის 25 ოქტომბერს ჩატარდა ფოთის ქალაქის თავის (მერის) არჩევნები, რომელშიც მონაწილეობდა 210 ხმოსანი. 193 კაცმა მხარი დაუჭირა ნიკო ნიკოლაძეს, 17-მა იონა მეუნარგის. ასე გახდა ნიკო ნიკოლაძე ფოთის

**როგორ ჩააბარეს ნიკო  
ნიკოლაძეს ფოთის  
მართვის სალაჟიბი?**

გააცურა ნიკოლაძემ რუსი გენერალი. მისი ვაჟკაცობის და გონებამახვილობის ამბავი მაშინ მთელ საქართველოს მოედო (თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ უმადურმა და შურიანმა რამდენიმე ქართველმა უკუღმა შეატრიალა ყოველივე და ცილი დასწამა ნიკოლაძეს — თუ კარგი კაცი იყავ და მთავრობას არ ემსახურებოდი, ფოთი დანგრევას როგორ გადაარჩინე?!..).

1858 წლის 18 ნოემბერს რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ფოთი გამოცხადდა სანავსადგურო ქალაქად. დაჭაობებულ ქალაქს ხალხი არ ეტანებოდა და მასში ნაკლებად სახლდებოდა. 1863 წლისთვის, როცა აქ

ქალაქისთავი (ამის მერე იგი კიდევ 4-ჯერ აირჩიეს ამ თანამდებობაზე- 1898,1902,1906,და 1910 წლებში).


საქართველოს ახალ ისტორიას დღემდე არ მოსწრებია ასეთი სანიმუშო, გონიერი, წინდახედული და ენერგიული ქალაქისთავი.

**რატომ აპოლოგონ ნიკო ნიკოლაძემ ქალაქი მიატოვა და კალატოზობა დაიწყო.**

ნიკო ფოთს ჯერ კიდევ ბავშვობიდან იცნობდა კარგად. მის მამას, იაკობ ნიკოლაძეს ფოთში დუქნები და ფაქტორიები ჰქონდა, შვილებს ყველაფრის საქმის კურსში აყენებდა და ნიკოც ხშირად დაჰყავდა ფოთში, ამუშავებდა კიდევ.

როცა ნიკო ევროპიდან დაბრუნდა, ფოთის ადგილმდებარეობას და მის მომავალს უკვე სხვა თვალთ შეხედა. მართალია მას აფიქრებდა ის, რომ ფოთი დაბალ და ჭაობიან ადგილას მდებარეობდა, რის გამოც წვიმების და წყალდიდობების დროს ქალაქი წყლით ივსებოდა, ნოტიო ჰავის გამო კი ციებ-ცხელებისა და ქოლერის ბუდედ შეიძლებოდა ქცეულიყო, მაგრამ უკვე 1871 წელს ხედავდა მის მომავალ პერსპექტივას: „ფოთის გასაშრობად საჭიროა რიონის ნაპირის დაგუბვა და ამალღება, მთელი ქალაქის სივრცეზე დიდძალი ქვიშის მოყრა და რუების გაყვანა... ფოთის დიდი როლი და კარგი სვე მოელის მომავალში, რკინის გზა ჩქარა შეაერთებს მას თბილისთან, მერე კასპიის ზღვასთან, შემდგომ როდისმე შუა აზიასთან, სპარსეთთან და შესაძლებელია ინდოეთთანაც. მაშინ ამ გზით გაიმართება დიდი მოძრაობა, მისვლა-მოსვლა და ალბ-მიცემა ერთი მხრით ევროპისა და მეორე მხრით საქართველოს, შუა აზიას და სპარსეთს შორის და ფოთს თავისი პორტით ექნება დიდი მნიშვნელობა. იგი შეიქმნებოდა ერთი უდიდესი და უმდიდრესი სავაჭრო ქალაქთაგანი, იგი აჯობებს მაშინ ოდესასაც“.

ნიკოლაძის ფოთის ქალაქისთავად არჩევას ქართულ საზოგადოებაში, სხვადასხვა რეაქცია მოჰყვა. მცირე ნაწილი ამას ნიკოლაძისთვის შეუფერებლად და დამამცირებლად თვლიდა, მათ შორის იყო აკაკი წერეთელიც, რომელიც წერდა: „იკისრა ქალაქ ფოთის თაობა და, თუმცა თითო საჩვენებელი ქალაქმთავარია, მაგრამ მაინც აფსუს, რომ მისთანა კაცი წვრილმან საქმეებს გამოსდგომია და რაც შეუძლია, ის კი დაუმარხავს“ აკაკის ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე ხალხის ნაწილმა მართლაც ასეთი დასკვნა გამოიტანა: „ქალაქი მიატოვა და კალატოზობა დაიწყო“.



**ახალი სანიმუშო, გონიერი, წინდახედული და ენერგიული ქალაქისთავი საქართველოს ახალ ისტორიას დღემდე არ მოსწრებია.**

თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილი დადებითად განეწყო მისდამი.

კარგად წერს აკაკი ბაქრაძე, რომ ნიკო ნიკოლაძეს „ეს საყვედური არ ეთქმოდა. მწერლობისთვის თავი არასოდრო დაუნებებია. როცა ვითარება და დრო ითხოვდა, კალამს ძველებურად ბასრად იყენებდა. მის აქტიურ პრაქტიკულ საქმიანობას საქართველოს გასაჭირი ითხოვდა. როგორც ილიას ბანკირობა იყო აუცილებელი (რაშიც ლომის წილი ნიკოლაძეს, ეკუთვნოდა - ვ.შ.), ასეთივე აუცილებლობა აიძულებდა ნ. ნიკოლაძეს, მრეწველიც ყოფილიყო და ქალაქისთავიც. საქმიანი ხალხის ნაკლებობას განვიცდიდით. ერთ ადამიანს ბევრი რამ უნდა ეკეთებინა. უზომო ტვირთი უნდა ეზიდა. სხვაგვარად მამულის გადარჩენა არ მოხერხდებოდა“.

ფოთში ჩამოსვლის შემდეგ ნიკო ნიკოლაძემ ორი ძირითადი მიზანი დაისახა:

1. ნავსადგურის გადაკეთება და მოდერნიზაცია, მისი გამტარუნარიანობის გაზრდა, აგრეთვე თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა;
2. ფოთის აღშენება ახალი გეგმის მიხედვით, მისი კეთილმოწყობა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ურბანული განვითარება.

**როგორი შეფასება მისცა აკაკი წერეთელმა ნიკო ნიკოლაძის ქალაქისთავად არჩევის ფაქტს?**

ქალაქისთავად ყოფნის თითქმის 20 წლის განმავლობაში ნიკო ნიკოლაძემ ორივე ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა - „ფოთი მან წამოაყენა ფეხზე“ (ა. ბაქრაძე).

ნიკო ნიკოლაძემ, როგორც ბრწყინვალე მენეჯერმა და ორგანიზატორმა, ჯერ ფოთის და მისი ნავსადგურის პრობლემები შეისწავლა, სწორად გაანალიზა და შემდეგ





მათი გადაჭრის გეგმაც შეიმუშავა.

მან პრიორიტეტად სავსებით სწორად მიიჩნია ნავსადგურის რეკონსტრუქციის საკითხი, რისი გადაწყვეტის გარეშე გემები იქ ვერ შევიდოდნენ რთულ ამინდში. მის გარეშე კი ქალაქს და ნავსადგურს ფუნქცია ეკარგებოდა.

3 წელი მოუწინა ნიკო ნიკოლაძე ინჟინერ ნ. ვოზნესენსკის მიერ შემუშავებული ნავსადგურის რეკონსტრუქციის პროექტის და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებას. მის დიდ მონდომებას და სიჯიუტეს უშედეგოდ არ ჩაუვლია. 1897 წელს რუსეთის გზათა სამინისტრომ ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციის პროექტის და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებას. 1897 წელს რუსეთის გზათა სამინისტრომ ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციის პროექტი მოიწონა (ნიკოლაძე ამ მიზნით რამდენჯერმე ჩავიდა პეტერბურგში და შემდეგშიც). ფოთის ნავსადგურის გადაკეთების უფლება იჯარით მიიღო ბუნგე-პალა-შკოვსკის კომპანიამ. პროექტის განხორციელება 370 ათასი მანეთი ჯდებადა. მშენებლებთან ძირითადად და დამატებითი ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ რუსეთის მთავრობამ ვოზნესენსკის პროექტი 1899 წლის დასაწყისში საბოლოოდ დაამტკიცა.

ფოთის თვითმმართველობის ხმოსნების დადგენილებით და სავანგებო საიმპერატორო ნებართვით ნიკო ნიკოლაძე 1900-1901 წლებში მივლინებულ იქნა საზღვარგარეთ იქ არსებული გამოცდილების გასაცნობად და შესასწავლად. მან იმოგზაურა უცხოეთში და დაათვალიერა ევროპისა და ჩრდილო აფრიკის მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქები, შეისწავლა და გაანალიზა მათი სრულყოფილი და ტვირთბრუნვის მექანიკა. ფოთში დაბრუნებისას მან მიღებული გამოცდილება ადგილობრივ პირობებს მიუსადაგა და მოარგო.

მაგალითად, უცხოეთიდან ნიკოლაძის დაბრუნების შემდეგ, მისი წინადადების საფუძველზე ზოგი რამ შეიცვალა: უარყოფილ იქნა ფოთის ნავსადგურის აკვატორიის ამოშენება რკინის მასალით და გადაწყდა ის აეგოთ ცემენტის მასივით. აკვატორიის მშენებლობისათვის შერჩეულ იქნა სპეციალური, უფრო მოხერხებული ადგილი.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს ნიკოლაძის დაკვირვებულმა თვალმა კარგად შენიშნა ის სიახლეები, რომლითაც წამყვანი პორტები სარგებლობდნენ და

ფოთში დაბრუნებულმა მათი დანერგვა გადაწყვეტა.

მართალია 1902 წელს ნავსადგურის რეკონსტრუქცია დამთავრდა, მაგრამ ფოთის პორტის ტვირთგამტარუნარიანობა დიდი არ იყო – ტვირთბრუნვის სისწრაფეს ძალზე აფერხებდა დატვირთვა-გადმოტვირთვის ძველი, მამა-პაპური წესები. ჭიათურიდან მოსული მარგანეციტ დატვირთული ვაგონები იცლებოდა ნიჩბებით, ხოლო გემები იტვირთებოდა კალათების საშუალებით. ნიკო ნიკოლაძეს და ფოთის თვითმმართველობას აქაც დიდი

ძალისხმევა დასჭირდა, რათა მიეღოთ ელევატორის დადგმისა და ელექტროსადგურის აშენების ნებართვა.

ფოთის თვითმმართველობამ 1905 წლის 25 აპრილს შავი ზღვის სამშენებლო საზოგადოებას დაუდო ხელშეკრულება ელევატორის და ელექტროსადგურის აგების თაობაზე. თვითმმართველობა ვალდებულებას კისრულობდა შესრულებული სამუშაოებისათვის გადაეხადა 375 ათასი მანეთი; აქედან 30 ათასი ერთდროულად, დანარჩენი კი 5 წლის ვადაში. მშენებელი ორგანიზაცია კი მოვალე იყო დაედგა რკინის ორი ამწე და აეგო 320 ცხენისძალის ელსადგური.

1908 წელს დამთავრდა ელევატორის მშენებლობა. ორივე ელევატორის მეშვეობით გემებში ყოველდღიურად შეეძლოთ ჩაეტვირთა 300 ათას ფუთზე მეტი მარგანეცი, რაც უდიდესი გარღვევა იყო ტვირთბრუნვის გაზრდის საქმეში. ამრიგად, ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით და ხელმძღვანელობით განხორციელდა ფოთის პორტის ელექტრიფიკაცია და მექანიზაცია.

რუსეთის ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტრომ შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ ფოთის ნავსადგური რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის შემდეგ ერთადერთი წყნარი და უშიშარი პორტი იყო შავი ზღვის სანაპიროზე.

ევროპაში ნაცხოვრებმა და იქაურმა ურბანისტიკის მცოდნე ნიკოლაძემ კარგად იცოდა, რომ ნავსადგურის რეკონსტრუქციასთან ერთად აუცილებელი იყო ქალაქის ინფრასტრუქტურის, სოციალური და კულტურული ობიექტების მშენებლობა.

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ 1901 წელს მისი ინიციატივით შედგენილ იქნა ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა. გეგმა შედგენილ იქნა ქალაქის დიდი გემოვნებით და ცოდნით, გათვალისწინებულ იქნა ქალაქის გაფართოების შესაძლებლობანი. დაიგეგმა განიერი ქუჩები ჭადრაკული წესით, ფართო, წრისებური მოედნები. ნიკოლაძე გეგმას მტკიცედ იცავდა და ყოველი ახალი მშენებლობა ამ გეგმის გათვალისწინებით ხდებოდა, რამაც ქალაქს ძალზე მოხდენილი და ლამაზი იერი მისცა (ფოთი ერთადერთი ქალაქია საქართველოში, რომელიც გეგმის მიხედვით აშენდა. მართალია რუსთავი უფრო მოგვიანებით აშენდა, მაგრამ ნორმები იქ ასე არ იქნა დაცული კომუნისტთა მიერ).

ნიკოლაძის ენერჯიული და დაუღალავი მენეჯერული მოღვაწეობის წყალობით ფოთის ბიუჯეტი თითქმის 10-ჯერ გაიზარდა: თუ 1985 წელს იგი 75 ათასი მანეთი იყო, 1914 წელს მან 723 ათასს გადააჭარბა.

ამრიგად მამანტი პაჭკორიას წიგნში „ფოთის წარსულიდან“ გამოქვეყნებული ერთი ძალზე მნიშვნელოვანი და საგულისხმო დოკუმენტი. იგი შექმნილია 1914 წელს და წარმოადგენს ფოთის ქალაქის ხმოსნების მიმართვას ამომრჩეველებისადმი. ამ უნიკალურ დოკუმენტში ჩამოთვლილია ისიც, რაც უკვე გააკეთა ნიკო ნიკოლაძემ ფოთში და ისიც თუ რა კეთდება ან უნდა გაკეთებულიყო მომავალში ნიკოლაძის მიერ (ა. ბაქრაძე).

რა გაკეთდა ნიკოლაძის ქალამთავრობის დროს ფოთში:

1. შავ ვარსკვლავზე დაბადებულ ფოთს უღმობელ სტიქი-ისგან შევლა ესაჭიროებოდა, ამითვის ქალაქს ირგლივ ჯებირი შემოავლო და ახლა წყალი ისე თავისუფლად ვერ დასეირნობს ქუჩებში, როგორც წინათ.
2. შავ ვარსკვლავზე დაბადებული პორტი მკვდრეთით აღდგენას ლამობდა და გაცოცხლდა ნავსადგურის განახლებით, ფოთსა და საქართველოს დიდი სარგებლობა მოუტანა. ევროპა დაგვაახლოვა, აღებ-მიცემობა გააძლიერა (რეალურად ნიკოლაძემ ფოთის პორტის ამოქმედებით ფანჯარა გაჭრა ევროპაში მომავლის საქართველოს და მისი ახალი გეოპოლიტიკური ფუნქციისათვის“- ვ.შ.).
3. გადაჭიმა სამი ხიდი, ორი ქალაქსა და დიდი კუნძულს პორტთან აერთებს და მესამე, ფოთელების მასაზრდოებელ გურისათა.
4. ახალი ხიდების აგებით გააუქმა მდინარე მალთა-ყვავზე და რიონზე ნაგებით გადასაყვან-გადმოსაყვანი უზომო გადასახადი – გაჭირვებული ხალხის შემავინრობელი.
5. მოსპო ძველ რკინის ხიდზე დაწესებული ბაჟი.
6. ააშენა ელექტრონის ქსელი, რომლის ბოძები თავ-მორთულ კეკლუც პატარძალივით ქუჩებს ამშვენებს.
8. გააკეთა, ნაცვლად დახავსებულ სამოქალაქო და სახელოსნო სასწავლებლის ხის სახლებისა, ლამაზი აგურის ორსართულიანი შენობები, რომელსაც მხარს უმშვენებენ ახლად დაარსებული ქალები და ვაჟების გიმნაზიის ქვის შენობები და სხვა სკოლები.



**ნიკოლაძემ ფოთის პორტის მოქმედებით  
მოაწვალ საქართველოს ევროპისკენ  
გამავალი ფანჯარა გაუღო.**

9. უხერხულ ადგილას მოთავსებული სავაჭრო მოედანი გადაიტანა მოხერხებულ ბინაზე, სადაც გაშენებულია გადახურული ბაზარი და სასწორი. იქვე გაკეთებულია ოთხი ქვის დუქანი და სხვა.
10. მოაწყო სასაკლაო და ორი წყლის ამოსაღები გენერატორის სისტემა, რომლებიც მცხოვრებლებს სუფთა წყალს აწვდის.
11. განაახლა ქალაქის კოშკი და ის გვერდით ამღართა უზარმაზარი ეკლესია ბიზანტიის სტილზე, რომელიც თავის აგებულებით იპყრობს მნახველთა ყურადღებას. (იმისთვის, რომ საბოლოოდ დაედ-დასტურებინა ცემენტითა და ქვის მასალით ნაგები შენობების უპირატესობა და გამოეხატა მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმართ თავისი პატივისცემა, ნიკოლაძემ ხელი მოჰკიდა და ხელმძღვანელობა გაუწია ფოთის კათედრალური ტაძრის მშენებლობას, რომელიც ძირითადად აგებულ იქნა შემონირული თანხმებით. ეს შენობა უნდა ყოფილიყო ქალაქის დამამშვენებელი. „ჩვენი ქალაქის მზეთუნახავი“ – ასე უწოდებდა მას თავად ნიკო ნიკოლაძე. 1904 წელს მან შეადგინა ეკლესიის პროექტი. ეკლესიის მშენებლობა დამთავრდა 1907 წლის 25 ივლისს, თუმცა ტაძრის კურთხევა არ მომხდარა. პირველი მსოფლიო ომის დროს თურქეთის ხომალდების მიერ ფოთის დაბომბვისას შენობა სერიოზულად დაზიანდა. 1932 წელს კომუნისტებმა ეს ეკლესია ჯერ კულტურის სახლად გადააკეთეს, მერე კი მასში ფოთის სახელმწიფო თეატრი განათავსეს. მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოხერხდა თეატრის ეკლესიიდან გამოყვანა, მისი კვლავ გადაკეთება ეკლესიად და რესტავრაცია. 2013 წლის 12 მაისს ეკლესია აკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. ახალ ტაძარს ხალხმა მეორე „აია-სოფია“ შეარქვა – ვ.შ.).
12. მოუპოვა სამკურნალოს და პოლიციას თავისი ბინა.
13. მოაწყო ცხენის რკინიგზის ლიანდაგი (ე.წ. „კონკა“ – ვ.შ.).
14. ნავსადგურში მიმავალ ქუჩების მოკირწყვლა და სხვა გზატკეცილების გაყვანა თუ ძნელად ოცნებაში არსებობდა, დღეს სინამდვილედ გახდა.
15. ქალაქის განაპირა ადგილების (ჩოჩხატის აგარაკი) შექმნა ბანკიდან.
16. საქონლის საწყობების გამართვა პორტში და ელევატორში.
17. ნახევარკაპიკიანი საფუთო გადასახადის დაარ-სებას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ფინანსებისათვის, რომ მისი წყალობით სულდგ-მულობს ადგილობრივი კულტურული დაწესებულება.



„უღმრთესი საქმის კაცმა“ ნიკო ნიკოლაძემ მოსვენება არ იცოდა და ფოთის აღმშენებლობის ახალ, გრანდიოზულ გეგმებს ამუშავებდა:

- არხით შეერთება რიონისა პორტთან.
- რკინიგზის საქონელზე ბაჟის დადება ქალაქის სასარგებლოდ,
- ახალი თანამედროვე საავადმყოფოს დაარსება.
- ქალაქის საზოგადო ბანკის გახსნა.
- სამეურნეო და საოჯახო სკოლის.
- სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსება.
- გეგმების გამყვან-ზემოყვან ბუქსირიანი ორთქმავლის შექმნა.
- პორტის შიდა აუზის შეერთება მდინარე კაპარქინასთან, სუფსასთან და ხობის წყალთან არხების გაყვანით.
- რიონის მომზადება შავი და აზოვის ზღვების გემების სადგომათ ზამთარში.
- წყალვარდნილების ხმარება ელექტრონის საშოვრად პორტის და ქალაქის სანათად და მანქანების საძრავით.
- მანქანების და მონიტორიანი ნავების შექმნა მდინარეებზე და შენაკადებზე სახმარად.
- გადასატან-გადმოსატანი რკინიგზის მოწყობა სილისა და მიწის საზიდავად ქალაქის დასაშრობათ.
- ფოთის გარშემო ადგილების დაშრობა და ნაჭერ-ნაჭერ გაყიდვა ფერმების გასამართავად.
- კურორტის გამართვა ზღვასა და პალიასტომს შუა.
- სახალხო სახლისა და თეატრის აშენება.

ნიკო ნიკოლაძის ფოთის პორტში ასევე გროზნოს ნავთობის გადასაზიდი ტერმინალის აგებასაც კი გეგმავდა, თუმცა აღარ დასცალდა.

როგორ ართმევდა თავს ამხელა მშენებლობებს და საიდან შოულობდა სახსრებს ამ პროექტების განხორციელებისათვის ნიკო ნიკოლაძე?

უდავოა, რომ ფოთის აღმშენებლობისას ნიკოლაძემ ტიტანური შრომა გასწია და მთელი ჯან-ღონე შეაღია, ამას ვერც მისი თანამედროვე ყველაზე დიდი ქართველები შესძლებდნენ და ვერც მომდევნო პერიოდისანი.

ახლა რაც შეეხება სახსრებს. ნიკო ნიკოლაძემ ჯერ კიდევ 1895 წელს მიმართა რუსეთის ფინანსთა სამინისტროს თხოვნით, რათა ფოთის ქალაქის გამგეობისათვის ნება დაერთოთ ამიერკავკასიის რკინიგზის ყველა სადგურში მოეწყო ყოველგვარი საქონლის შესანახი შესაფერისი საწყობები და მიეცათ წინდის (გირაოს) მიღებისა და ვარატის ფურცლების გამოცემის უფლება.

1826 წლის დეკემბერში ქალაქების მოსამზადებლად დაწესებულებამ უკვე გამოსცა ფოთის ვარატის ფურცლები.

1896 წლის დეკემბერში ქალაქების მოსამზადებლად დაწესებულებამ უკვე გამოსცა ფოთის ვარატის ფურცლები.

ნიკო ნიკოლაძემ დიდი წვალბების შემდეგ მოახერხა ფოთის ნავსადგურში შემოტანილ თუ გატანილ ყოველ ფუთ ტვირთზე დაეწესებინა ნახევარკაპიკიანი გადასახადი, რომელიც ხმარდებოდა პორტის და ქალაქის კეთილმოწყობას. მანვე შეძლო სპეციალურად ფოთის

ნავსადგურის მშენებლობისათვის გამოეცა 5 მილიონ 400 ათასი მანეთის ობლიგაცია, რაც უნდა დაეფარა ფუთობით გადასახადის შემოსავალთან. ნიკო ნიკოლაძემ ფოთში ასევე დააარსა თანამედროვე ტიპის ბანკი (სრულიად განსხვავებული სათავადაზნაურო ბანკისგან), ქართულ სინამდვილეში პირველმა დაბეჭდა ობლიგაციები და ლატარიის ბილეთებიც და მთელი სემოსავალი ფოთის კეთილმოწყობას მოახმარა, რაც უპრეცედენტოდ ნოვატორული ნაბიჯი იყო მაშინ.

როცა იონა მეუნარგიას (ფოთის ქალაქის თავს ნიკო ნიკოლაძემდე) უსაყვედურეს, ქალაქში არაფერს გვიშენებო, მან პრესის ფურცლებზე ასეთი პასუხი გასცა: „რის გაკეთება შეიძლება იმ ქალაქში, რომელსაც ნაკლები შემოსავალი აქვს (მაშინ 70 ათასი, ნიკოლაძის დროს 700 ათასზე მეტი იყო უკვე – ვ.შ.).“

ქალაქის გაზრდილი შემოსავლიდან ნიკოლაძე ხიდების ასაშენებლად ცოტა თანხას ხარჯავდა ან სხვა სახსრებით აგებდა. მაგალითად, მალთაყვას ხიდი მან ააშენა 47 ათას მანეთად და ეს თანხაც მიღებულ იქნა სპეციალური თანხებიდან. მდინარე რიონზე აშენდა 10 ფნ საჟენი სიგრძის ხიდი, რისთვისაც დაიხარჯა 30 ათასი მანეთი.

1908 წელს პირველად განხორციელდა ქ. ფოთის ელექტროფიკაცია. დენმა აამუშავა ნავსადგურში, რკინიგზის სადგური სხვა დაწესებულებანი, განათდა ქუჩებიც.

ნიკო ნიკოლაძე ფაქტობრივად პირველი იყო, ვინც ელექტროენერჯის უზარმაზარი სამომავლო პერსპექტივა გაცნობიერა და პრაქტიკაში დაწერა ჩვენთან. მას წინ უძღვოდა ერთი საოცარი ისტორია: როდესაც 1881 წელს ელექტრიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე ფრანგი ფიზიკოსის, მოგვიანებით პარიზის მეცნიერებათა აკადემიის (რომლის ნამდვილი წევრიცაა ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილის შვილი ელენ ზურაბიშვილი-დანკოსი) წევრის, მარსელ დეპრეს იდეა ელექტროენერჯის დიდ მანძილზე გადაცემის შესახებ გადასაცემი დენის ძაბვის გადიდების საშუალებით არ იქნა მოწონებული და მხარდაჭერილი, ნიკო ნიკოლაძემ ცნობილ ებრაელ მრეწველს როტშილდს დასაბუთებული, ხელმუწერელი წერილი გაუგზავნა, რის შემდეგაც როტშილდმა დეპრესს ექსპერიმენტი დააფინანსა. დეპრე მაშინ მიხვდა, რომ წერილი სწორედ ნიკოლაძის დაწერილი იქნებოდა. ეს მერე არც ნიკოს დაუმაღლავს, როცა 1886 წელს ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა დეპრესს მისი იდეის პრაქტიკული ხორცშესხმა და ამის შესახებ პირველმა დაწერა 1887 წელს პრესაში ჩვენთან (მისი ინიციატივით განხორციელდა აგრეთვე ქუთაისში განათების, წყალსადენის და ტრამვაის გაყვანა, იმერეთში კი მევენახეობის აღორძინება).

მის თანამედროვე ქართველთა დიდი ნაწილი აღფრთოვანებას ვერ მალავდა ნიკოლაძის მიერ ფოთში მოხდენილი სასწაულის გამო (ასევე სასწაულებრივად მაღალ ესთეტიკურ და ტექნოლოგიურ დონეზეა მოწყობილი ნიკო ნიკოლაძის ეზო — კარ-მიდამო — ამჟამად მისი სახლ-მუზეუმი სოფელ დიდ ჟიხაიში, სადაც ნიკოლაძეები 1886 წელს გადავიდნენ საცხოვრებლად).

აი, რას წერდა ჟურნალ „კლდის“ კორესპონდენტი 1913 წელს. „ამ ოცი წლის წინათ პირველად ვიხილე ფოთი. იმ დროს იგი უფრო მოზრდილ სოფელს გავდა, ვინემ ქალაქს. წუმპე-ტალახიანი ბნელი ქუჩები, ხის პატარა სახლები, ჭუჭყიანი უშნო დუქნები, ხის პატარა სახლები, ციებ-ცხელებით შეპყრობილი, უძალდონო, უფერული ხალხი; ირგვლივ ჭაობები... აი, რა იყო ფოთი.

ამ დღეებში შემთხვევა მომეცა კვლავ მენახა ეს ოდესღაც საცოდავი ფოთი. ღმერთო ჩემო! რა ნახა ჩემმა თვალებმა! ნუთუ ცხადია, არა სიზმარი! თილისმას გარდაუქმნია იგი ამ ოც წელიწადში მშვენიერ ქალაქად: დამშრალა ჭაობები... ვრცელი და სწორი მოკირწყლული ქუჩები, ხისა და ქვის ორსართულიანი ლამაზი სახლები, საქონლით სავსე მინით გადახურული ბაზარი და კობცა დუქნები, პატარა წყალსადენები, ცხენის კონკა და ელექტრონით განათება, — აი, რა ვნახე დღეს ფოთში...

ნეტავ ვინ მოახდინა ეს სასწაული?! ვინ არის ის ჯადოსანი, რომელმაც გააცოცხლა მკვდარი ფოთი და გარდაქმნა იგი მშვენიერ ქალაქად, ვინ ააყვავა დამპალ ჭაობებში საქართველოს ეს ქალაქი და აქცია იგი პირველხარისხოვან ბოლაზად, რომლის ნავსადგური სავსეა დღეს ოკეანის გემებით და რომლის საქონლის გატან-შემოტანა უდრის წლიურად 100 მილიონ ფუტს?!



**მივსტირით, რადგან მტრები აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი ვინმე თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტინთ როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“ (კონსტანტინე გამსახურდია).**

ასე დაესიენ ვირები მოხუცებულ ლომს და წიხლის სროლა დაუწყეს. ორი წელი მიმდინარეობდა საქმის ძიება ეს სამარცხვინო და ქართველთათვის თავის მომჭრელი სასამართლო პროცესი, 1916 წლის მაისში, ქუთაისში გაიმართა. ეს ფარსი საგანგებოდ იყო მოწყობილი ნიკოლაძის ავტორიტეტის და გაკეთებული

საქმეების დასამცირებლად.

ნიკოლაძეს მთავარი ბრალდება არ დაუმტკიცდა, მაგრამ სასამართლომ მას მაინც მიუსაჯა 8000 მანეთის გადახდა (თუ არადა ერთი წელი ციხე უნდა მოეხადა). კაცს, რომელსაც ამხელა ფინანსებთან შეხება ჰქონდა, ამ რვა ათასი მანეთის გადასახდელი საკუთარი სახსრები არ აღმოაჩნდა(!) და მისი საკმარისი ნაწილი პატრიოტმა ქართველებმა

გაიღეს. ბევრი გამოესარჩლა მაშინ ნიკოლაძეს და მისი ღირსებაც დაიცვა, მაგრამ ამაგდარ ადამიანს უზომოდ ატიკინეს გული.

ამ შურიან და რეგვენ ქართველებს, რომლებმაც ნიკოლაძეს ასეთი ცილი დასწამეს გაცნობიერებული არ ჰქონდათ, რომ „**ქლიართა დასუსტებით სუსტს ვერ გაააქლიარებ, მდიდრების განადგურებით სიღარიბეს ვერ დაქლიებ; აღამიანებს ვერ მიხმარებ, თუ მათ გასაკითხავს შენ გააკითხებ**“ (აბრაამ ლინკოლნი).

ფოთის თვითმმართველობამ მიიღო გადაწყვეტილება, რათა ნიკოლაძისთვის დაენიშნათ პერსონალური პენსია წელიწადში 5000 მანეთის ოდენობით. დადგენილებაში ჩაიწერა, რომ პენსიის დანიშვნით „ქალაქი, როგორც ვალდებული იხდის ვალს დიდი ადამიანის წინაშე“.

თუმცა თანამედროვე ფოთი ვალდებულია უფრო მეტი გააკეთოს ნიკოლაძის იდეების პროპაგანდის, ხორცმცხმის და მისი სახელის უკვდავყოფისთვის — ასეთი დიდი აღმაშენებელი ხომ ნიუ-იორკსა და ვაშინგტონსაც არ ჰყოლია.

**ვაჟა შუბითიძე  
ისტორიკოსი**

**„ჩვენს ქვეყანას ყველაფერი აქვს ამ სიველურისაგან თავის დასაღწევად, უფრო მეტად შეუძლია ხელით შრომისა და პრიმიტიული ტექნიკის შეცვლა, ვიდრე სავოისა და დოფინოში, რომლებიც გამდიდრდნენ რაღაც მეოთხედ საუკუნეში“.**

(მილიონ 600 ატას ტონას-გ.შ.). ვინ აღძრა და აამოძრავა ფოთის სიცოცხლის ძარღვი?! ეს გახლავთ ნ. ნიკოლაძე“.

ახალი ფოთის შემხედვარე ქართველობა სულ უფრო რწმუნდებოდა ნიკო ნიკოლაძის სიტყვებში, რომ „**ჩვენს ქვეყანას ყველაფერი აქვს ამ სიველურისაგან თავის დასაღწევად, უფრო მეტად შეუძლია ხელით შრომისა და პრიმიტიული ტექნიკის შეცვლა, ვიდრე სავოისა და დოფინოში, რომლებიც გამდიდრდნენ რაღაც მეოთხედ საუკუნეში**“.

მაგრამ ყველა როდი იყო აღფრთოვანებული ნიკოლაძის დიდი ღვაწლით და უანგარო მამულიშვილობით. მოშურნეებმა და საქართველოს მტრებმა რუსებთან დააბეზლეს ეს უდიდესი მოღვაწე. რუსებსაც დიდი ქართველები გულზე არ ეხატებოდათ და 1912 წლის მარტში ნიკო ნიკოლაძე ქალაქისთაობიდან გადააყენეს, სამართალში მისცეს და თითქოს ნიკოლაძემ ბუნგე-პალაშკოვსკის ფირმისგან ქრთამად 350 ათასი მანეთი აიღო (არადა, ხელშეკრულებით მშენებლობა სულ 370 ათასი მანეთი ჯდებოდა?!).

...ასე ვიცით ქართველებმა: „**მუდამ ჩვენ სიმცირეს**



# ღვთის კურთხეული კაცის უკანასკნელი ვხა


## ნაული ჯანაშია

„უფლისგან ბევრი მოგვეცა და ბევრიც მოგვეთხოვება, ღვთისთვის ყველაზე დიდი მადლი გლახაკთა და გაჭირვებულთა შეწევნა და ნუგეშისცემაა“ — ბრძანებს უწმინდესი და უნეტარესი ილია II, მართლაც რა არის იმაზე დიდი ბედნიერება, როცა შეგიძლია შენი თუნდაც მცირედი თანადგომით ვიღაცას გული გაუთბო, ნუგეში სცე, ტვირთი შეუმსუბუქო, — ამ ყოველივეს შემძლე და მტვირთველი მარტვილის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი ნაული ჯანაშია გახლდათ, კაცი, რომელიც მხოლოდ პარტიული თვალსაზრისით არ შეიძლებოდა განგვეხილა, მისთვის კაცურ-კაცობა იყო ყველაზე ღირსეული სამსახური.

ხელგაშლილი, ქველმოქმედი, ეკლესიების აღმშენებელი, კაცი, რომელსაც ღმერთმა სავსე გული და სპეტაკი სული უბოძა, მისცა ძალა სიკეთის კეთებისა და კარი გაუღო ღვთითკურთხეული სრულყოფილებისაკენ.

ბატონ ნაულის ჰყავს ლამაზი ოჯახი, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები. დღეს იგი სამწუხაროდ წარსულში უნდა მოვიხსენიოთ. საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის 2015 წელი, მისივე დაბადების თვეს, 17 მარტს განუტევა სული. ხანგრძლივ ავადმყოფობას ვერ გაუმკლავდა. მარტვილში თავის აშენებული ტაძრის ეზოში ჰპოვა განსასვენებელი.

... დასანანია ... კიდევ ბევრი სიკეთის კეთებას შეძლებდა, უფალმა გაუნათოს სამუდამო სასუფეველი.



*ამხელა კაცი წვიმის წვეთს ჰგავდა  
მაგრად ყბებოდა ქალაქს,  
სოპორებს არ ვუყუბი და არც ვიციყუბი  
მხოლოდ მოგიყუბით ნანახს.*

*ისეთი სიკეთის ნიალოვარს გვიძიკვნიდა  
და უთურობოდა ძმაქაცს,  
როგორიყ შეჭაუნის სულთ  
გაბწყინებუკ  
ქართულ გენის ვაუქაცს.*

*გივი სიხარულდი*

# ეს ჩვენი კაცია

- დაიბადა 1947 წლის 1 მარტს, მარტვილის რაიონის სოფელ დიდი ჭყონში.
- 1963 წელს დაამთავრა დიდი ჭყონის საშუალო სკოლა.
- 09/1971 - 12/1975 - ლენინგრადის სამთო-სამრეწველო ინსტიტუტი, სტუდენტი.
- 02/1976 - 09/1977 - ძ. შვეჩანკოს სატრანსპორტო სამმართველო, ინჟინერ-აკომომისტი.
- 09/1977 - 05/1981 - ძ. შვეჩანკოს სამთო-სამრეწველო კომბინატის გამომთვლელი ცენტრი, განყოფილების გამბე, დირექტორის მოადგილე.
- 11/1986 - 03/1993 - სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი, 250 სამცხნიერო განყოფილების დირექტორის მოადგილე.
- 02/1995 - 05/2008 - მოსკოვის მატროპოლიტანის ელექტრო მოძრაობის შვეიცარიის საკომუნო ქარხანა, განვრცობის დირექტორის მოადგილე.
- 06/2008 - საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი. არის აფხაზეთის ომის მონაწილე. გარდაიცვალა 2015 წლის 17 მარტს.



## ნაულ „საშვეჩანკოს“ პრეზიდენტი



არსებობენ ადამიანები, რომელთა პიროვნული თვისებები საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ერთად შთამბეჭდავს, საინტერესოს ხდის ჩვენს ყოფიერებას. მათი ცხოვრების გზა მაგალითად იქცა მომავალი თაობისთვის, რადგანაც დღევანდელ დროს, როცა ფასეული ღირებულებები ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა ასეთი ადამიანების გვერდით ახალგაზრდების მაგალითია სწორი ცხოვრების არჩევანი, იცხოვრო ისე, რომ როცა შენს მიერ განვლილი ცხოვრების გზას თვალს გადაავლებ, არ შეგრცხვეს და პირიქით გზა გავლილი — შენს მიერ ჩამოყალიბებული ცხოვრების კრედიტო, მომავლის გაკვეთილად იქცეს.

სწორედ, ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება ჩვენი რუბრიკის სტუმარი მარტვილის მარტვილის მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი ნაულ ჯანაშია, რომელსაც საინტერესო ცხოვრების გზა აქვს გავლილი. ამას თავად გვიამბობს.

**შტრიხები პორტრეტისათვის:** განსაკუთრებული მოსაუბრე, ხმის დაბალ ტონალობაში გამოიკვეთება ის თავმდაბლობა, უშუალობა, რაც მის პიროვნულ შტრიხს

წარმოადგენს რაც სრულიად წარმოჩინდა მშობლიურ მარტვილში. თავისი კუთხის სიყვარულით დაბრუნდა მოსკოვიდან და მარტვილზე ზრუნვაც აქედან დაიწყო.

პიროვნული ღირსებებისა და სინდისის მოთხოვნა ყველა საქმეს გამორჩეულად სჭირდება, რადგან, სახელის და ავტორიტეტის მოპოვება საზოგადოებაში ყოველთვის ბედის წყალობაზე არ არის დამოკიდებული. იგი ემყარება პიროვნების თავდაჭერილობას, წარმატებულ საქმიანობას და თუ ეს რეგიონს ეხება, საფიქრალ-საზრუნავიც ორჯერ მეტია, რადგანაც სწორედ, ხალხია უტყუარი შემფასებელი და მათი აქტიურობით ვიგებთ ჩვენ ჟურნალისტები ნებისმიერ ინფორმაციას ჩვენი რესპონდენტის საქმიანობას, წარმატებულ კარიერას. მას სხვებისგან გამოარჩევს არა პრესით და ტელევიზიით ხშირი სტუმრობა, არამედ მამულიშვილური გრძნობა, რომელიც გვირგვად ადგას რუბრიკის სტუმარს.

ბატონი ნაული დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ დიდი ჭყონში. იქდაამთავრა სკოლა. შემდეგ იყო ყაზახეთი, მოსკოვი და წარმატებული კარიერა. უფრო ვრცლად მისი ცხოვრების და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ.







**ნაულ ჯანაშია  
მეუღლესთან და  
ქალიშვილთან ერთად**

— ბატონო ნაულ, ტრადიციული კითხვით მოგ-  
მართავთ ცხოვრების რა გზა განვლეთ დღემდე?

— დავიბადე მარტვილში სოფელ დიდი ჭყონში. იქ დავამთავრე სკოლა, შემდეგ ძმასთან გავემგზავრე ყაზახეთში ქ. შევჩენკოში. ძმა იქ მუშაობდა და კარგი ავტორიტეტით გამოირჩეოდა. მეც დავინყე მუშაობა კავშირგაბმულობის დარგში. მალე სპეციალური კურსების გავლის შემდეგ ჩავირიცხე მოსკოვის საკავშირო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მესამე კურსიდან სანქტ-პეტერბურგის სამთო-სამრეწველო ინსტიტუტში გავაგრძელე სწავლა. დამთავრების შემდეგ კვლავ ყაზახეთში დავბრუნდი, სადაც სხვადასხვა თანამდებობაზე ჩემი სპეციალობით ვიმუშავე 21 წელი.

— იმ წლებში სამშობლო საქართველო, ჩემი კოპნია ნაფოსტარი, დიდი ჭყონი, მარტვილი ერთი წუთით არ მავინყდებოდა. ერთ-ერთი შევებულების დროს ჩამოვედი და აქვე დავექორწინდი. ორი შვილი შეგვეძინა — დავარქვით ნადია (ია) და მამია (მამუკა). წლების გადასახედიდან შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ ჩემი მეუღლის, ინდირას დამსახურებაა შვილების კარგი განათლების მიღება, რადგან ყოველთვის უნერგავდა ნიგნისადმი სიყვარულს, ამიტომაც დღეს ვამაყობ შვილებით, თუმცა დასანანი, რომ ყოველივე ამას ჩემი მეუღლე ვერ ხედავს, ბედისწერასთან ყველა უძლურნი ვართ.

— თუმცა სევდიან მოგონებებთან ერთად ცხოვ-  
რება გრძელდება. თქვენ ისევ აქტიურად იღწვით მშობლიური კუთხის სიყვარულით, გინდათ იყოთ ხალხის სამსახურში, ამას მოსკოვში ყოფნის დროსაც ახერხებდით, ეს იყო ქვეყნისადმი დიდი ნოსტალგია, თუ რა ძალა გეხმარებოდათ ყოფილიყავით მეცენატი, ქველმოქმედი?

— ალბათ უფალმა იცის, რომ მთელი ცხოვრება გამოცდების გზაზე უნდა გვატაროს, მიღწევებით მიღებულ სიხარულს მწუხარებით გვინაცვლებს.

ტრადიციულად გადავიტანე ეს იყო მეუღლის ადრეულ ასაკში გარდაცვალება, მშობლების და უფროსი ძმის მამიას წასვლა ამ ქვეყნიდან. უფლის ძალა მეხმარება ვიყო სულიერად ძლიერი, რადგან სიკეთის კეთებისთვის მოვდივართ ადამიანები ამ ქვეყნად რადგანაც ასეა, ჩემი საქმიანობით მინდა ჩემი წვლილი შევიტანო ქვეყნის აღმშენებლობაში. ეს ყველა ქართველის პირდაპირი მოვალეობაა, მეც მათ რიცხვს მივეკუთვნები. მოსკოვში მუშაობის დროს ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანე ჩემი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. მაშინ დიდი თანადგომა გამიწია ლეონიდ ვინიკმა. რა თქმა უნდა, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით თბილისში გავხსენით მოსკოვის მეტროპოლიტენის ქარხნის ფილიალი, სადაც 190 კაცი დასაქმდა და მოემსახურება ბაქოს და ერევნის მეტროპოლიტენებს. თბილისში კი მეტროს მოძრავი შემადგენლობის ძირეულ რეკონსტრუქციას და განახლებას ახორციელებს. ლამაზ ფერებში განყოფილი მეტროს ვაგონები ჩვენს ფილიალშია დამზადებული. ჩემი მიზანი სწორედ, შენებაშია. თანამშრომლობა და მშვიდობიანი ურთიერთობა ეს იქნება ქვეყნებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური გარანტი.

— ბატონო ნაულ, ვინ მიგაჩნიათ თქვენი საქ-  
მიანობის პირველ შემფასებლად?

— ჩემი საქმიანობის შემფასებლად მიმაჩნია ის ხალხი, ვინც მე ამირჩია, ვინც ნდობა გამომიცხადა. ვცდილობ ვიყო ობიექტური, რაც დეპუტატის მოვალეობაა. პირნათელი ვიყო, როგორც მოსახლეობის, ასევე ხელისუფლების წინაშე. მინდა ყოველი დღე რაიონში სიახლეებით იწყებოდეს.

— როგორც ვიცით, რაიონში თქვენს საქმიანობას უკავშირდება მოსახლეობის თანადგომა, რაიონის კეთილდღეობა, გზების რესტავრაცია, ეკლესია-  
მონასტრების მშენებლობა და მრავალი მეცენატური საქმიანობა. თქვენ რას იტყობთ?

— იცით, არ მიყვარს საკუთარ თავზე იმაზე საუბარი, რაც მოვალეობდა მიმაჩნია, ჩემი ერთი დღე მარტვილში ასე იწყება. მუნიციპალიტეტის გამგეობაში ვიკრიბებით. ჩემთვის აუცილებელია ვიცოდე როგორ, რა მიმართულებით კეთდება ესა თუ ის საქმე, როგორია მოსახლეობის განწყობა, რა უჭირთ. ამის შემდეგ ვაკეთებთ ერთობლივ ანალიზს და ვცდილობთ ყველა ამომრჩევლის იმედები გავამართლოთ.

— **ბატონო ნაული, თქვენ გარკვეული წლები სოხუმში ცხოვრობდით. ხართ ომის მონაწილე, ამჯერად წლების გადასახედიდან რას იტყვოდით, როგორ იგონებთ იმ წლებს.**

— 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმში დაეცა. მე რითიც შემედლო დახმარებას ვუნევედი მეომრებს. შემდეგ იძულებული გავხდი და დავბრუნდი ჩემს სოფელში, დავტოვე სოხუმი. მართლაც ჯოჯოხეთური წლები გამოვიარეთ, წინააღმდეგობა, ძმათაკვლა, ყაჩაღთა თარეში სამეგრელოში, უშუქობა. ნადგურდებოდა შენობა-ნაგებობები. ასეთი დავტოვე მე საქართველო. წლების შემდეგ შემიძლია ვთქვა, რომ იმედი რომელიც, ჩვენ ოჯახს ჰქონდა უკეთესი მომავლისათვის, გამართლდა. მთავარია მონდომება, საქმისადმი დიდი სიყვარული და საქართველოს „გზა მომავლისა“ ნათელი და ნაყოფიერი იქნება.

— **დღეს აქტუალურია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მეტად დაძაბულ ფონზე, რაც ამ ორ ქვეყანას შორის ხდება, რას იტყვოდით, როგორ პოლიტიკურ სიტუაციას გვიმზადებს რუსეთი?**

— სანამ პარლამენტის წევრი გავხდებოდი, მე ვიყავი მოსკოვის მეტროპოლიტენის ელექტრომძრავი შემადგენლობის ქარხნის გენერალური დირექტორის მოადგილე. ჩემი ქვეყნის სიყვარულით ჩამოვედი საქართველოში. ჩემი სურვილები საქართველოს უკავშირდება. მოსკოვში ჩვენ ქართველები სამშობლოზე მონატრებულები საქართველოზე ფიქრით ვსაზრდობდით. იქ მყავს მთელი სამეგობრო. მათ

ძალიან უყვართ ქართველები, მათი აზრით თუ რამე დაპირისპირებაა ამ ორ ქვეყანას შორის, ბრალი რუსეთის ამბიციურ პოლიტიკოსებს მიუძღვით. რუსი ხალხი კი არაფერშუაშია.

— **როგორც ვიცით, თქვენ მორწმუნე ადამიანი ბრძანდებით. მშობლიურ დიდი ქყონში მარია მღვთისმშობლის ეკლესია ააშენეთ.**

ეკლესიამ ამამალლა სულიერად. სულიერი სამყარო ჩემთვის უმთავრესია. რაც შეეხება ეკლესიის მშენებლობას, მოსკოვიდან ვხელმძღვანელობდი. ადგილზე ჩემი ერთგული თანამოაზრე უანგაროდ შრომით აშენებდა ღვთის საყდარს, მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მამა სერაფიმეს, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მის აგებაში.

ეკლესია 2002 წელს გავხსენით, ჩემი მეუღლის ოცნება ავასრულე. ის მოესწრო მის გახსნას, მისი სულის მოსახსენიებლად მუდამ ანთია სანთელი. მე ყოველთვის თან მსდევს უფლის რწმენა და სიყვარული. მთელ ჩემს მოღვაწეობას უფლის შენევნით და ლოცვა-კუთხევით ვხელმძღვანელობ.

**როგორია დღევანდელი მარტვილი?**

**P.S.** წლების წინ გაპარტახებული მარტვილი დღეს ასე გამოიყურება; რესტავრირებული სკოლები, ახალი სკვერები, შადრევნები, რაც სიცოცხლის ძალას მატებს ცენტრს. სპორტული ნაგებობები, მოასფალტებული ქუჩები, მუნიციპალიტეტის ცენტრში ინფრასტრუქტურის ახალი ობიექტი. დღეს, ცხოვრება ჩქეფს მარტვილში, მიუხედავად მძიმე ეკონომიკური ხვედრისა, რაც ერგოთ წინამორბედებისგან.

მარტვილი კვლავ ამაყობს თავისი კულტურით, სტუმართმოყვარეობით. მშობლიურ კუთხეზე მზრუნველი ადამიანები, რომელთა რიცხვში ჩვენი რესპონდენტი ბატონი ნაულ ჯანაშიაა, მისი საქმიანობა ნამდვილად ეამაყებათ მარტვილელებს და არამარტო მათ.

**ნიკო მუხველიანი. 2012 წ.**







ლელა ნინუა

გრძნობებს გზა მივეტი და ჩაქრს სანთელი



როგორ უნდა განხდე ბერი?!

როგორ ავიფარე ჩადრი,  
 როგორ დავდიოდი ბრმა,  
 როგორ შეგიფარე სუნთქვით,  
 რატომ ჩავიწვევით სმა?  
 როგორ განმიძევა წყნად,  
 როგორ დამათოვა კვლავ,  
 როგორ შეგიკედლე უნდო,  
 როგორ უმოწუნოდ მკლავ?  
 როგორ დამიბნეულე დღე,  
 როგორ განმიძარცვე გული,  
 როგორ გადაჭერი სე და  
 როგორ დამიწურე სული.  
 როგორ არ გაწუნებხს, როგორ,  
 როგორ გაგიტანა ვნებამ,  
 როგორ არ შეგრცხვება ოდეს,  
 როგორ ჩავითრია ღვევამ?  
 როგორ იყენებდი ნდობას,  
 როგორ მიდიმოდი თვალში,  
 როგორ მიძეტებდი ობოლს,  
 როგორ შემარცხვინე ხალხში?  
 როგორ გიღამდება მშვიდად,  
 როგორ გესიზმრება სივრცე,  
 როგორ დანავარდობ შირმად,  
 როგორ არ გაწუნებხს სიცხე?  
 როგორ გემჩატება მიწა,  
 როგორ დაგვიწინა სიტკბო,  
 როგორ შეგიმოკლდა გზები,  
 როგორ ვერ გიგვრძნია სითბო?  
 როგორ ქალაქელობს ბიჭი,  
 როგორ გადაიქცა ჭიქა,  
 როგორ შეუერთდა ლოთებს,  
 როგორ შეიჭამა ფიჭა.  
 როგორ გააჭენებს რაში,  
 როგორ, ის უკვალოდ ივლის?  
 როგორ შემოხვდება გოგოს,  
 როგორ, გადაიტანს ივლისს?  
 როგორ არ უნდა თქვა, როგორ,  
 როგორ ნაწუენია ღმერთი,

როგორ იფიცებდი მის თავს,  
 როგორ, რომ მე გწამდი ერთი?  
 როგორ ირეოდი ვეველან,  
 როგორ მიფერებდი დღემდე,  
 როგორ ატყუებდი ვეველას,  
 როგორ დავბმავდი და კენდე?  
 როგორ გალგულა ის დრო,  
 როგორ ჭუჭყითა და გვალვით,  
 როგორ გავერიე მე ბრბოს,  
 როგორ თურმე იყავ გავლით!  
 როგორ, რად იკადრე კანცმა,  
 როგორ შეაცდინე ერი,  
 როცა აქ სიცრუით გვკვებავ,  
 როგორ უნდა განხდე, ბერი?!

ორნი

ორნი ვართ ოთახში,  
 ოთახი ლურჯია,  
 ვსუნთქავ და ვერც ვსუნთქავ,  
 სათქმელი მუნჯია.  
 რა მოხდა ასეთი?  
 ნეტავი რა უნდა?  
 ხორცი სულს ებრძვის და...  
 ბოლოს სულ განუდგა.  
 თავს ვეღარ ვერევი,  
 გრძნობები ურჩია,  
 უბრალო რითმებსაც  
 ასწრებენ ვნებები...  
 ჩვენ ირგვლივ  
 ქსელს სლართავს  
 ობოლი ობობა,  
 ჩვენ კი არ გვანაღვლებს  
 ბორბოტი ენები.  
 ოთახი კვლავ ლურჯი,  
 აღარ მაქვს სათქმელი,  
 გრძნობას ვზა მივეცი  
 და ჩაქრს სანთელი.  
 ორნი ვართ ოთახში,  
 ოთახი ბნელია,  
 აქ უკვე რამის თქმა  
 ძალიან მხელია.

# რა აკავშირებს აკაკი წერეთელს დადიანებთან

აკაკი წერეთლის უმცროსი და მავრა (მატა) როსტომის ასული წერეთელი გახლდათ მეუღლე სოფელ ჯვარის მკვიდრის ალექსანდრე დადიანისა. მათს და ალექსანდრეს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი, შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწე ანეტა დადიანი, რომელიც 1872 წ. დაბადებულა სოფელ ჯვარში. იგი აკაკი წერეთლის ერთადერთი დისშვილი გახლდათ. ანეტა ადრე დაოჯახებულა და ბიძამ სოფელ სხვიტორში წამოიყვანა ალსაზრდელად. ანეტა დადიანი ცოლად გაჰყვა ჯანსუღ დადუშქელიანს, რომელიც ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობას ფლობდა. მათ ჰყავდათ ორი ვაჟიშვილი, რომლებიც დაიღუპნენ პირველ მსოფლიო ომში. მიუხედავად ასეთი ტრაგიკული ბედისა, ანეტა დადიანს არ შეუწყვეტია საზოგადოებრივი მუშაობა, იგი მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა. მისი ლექსები იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ – გაზეთებში. ანეტა დადიანმა თავისი მამული გადასცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და მის სახლში გაიხსნა ორკლასიანი სკოლა. ასევე თავისი ქონების ნაწილი შეუწირავს სოფელ ჯვარის წმ. გიორგის ეკლესიისათვის. ანეტა გარდაიცვალა 1922 წელს და დაკრძალულია ჯგებეს წმ. გიორგის ეკლესიაში.



აკაკი წერეთლის უმცროსი და მავრა (მატა) წერეთელი-დადიანისა



აკაკი და დისშვილი - ანეტა დადიანი-დადუშქელიანისა



ანეტა დადიანი-დადუშქელიანისა ოჯახით სტუმრად აკაკისთან და ანა წერეთელთან





რუსუდან სინარულიძე

## მეუღლის სურათთან

სურათზე დარჩენილხარ  
 მარტო მოგონებად  
 ცრემლებით მევსება  
 მიმქრალი თვალები,  
 ცხოვრების მანძილზე  
 რა აღარ მინახავს  
 ვინ არ შემხედრია,  
 როგორი ქალები,  
 მაგრამ შენი წასვლით  
 ეულად დამტოვე  
 გულზე გამიჩინე ნაიარევი.  
 რა უცნაური  
 ეოფილა სიკვდილი  
 როგორი სწრაფი და  
 როგორი ნახეარევი,



დღეები დღეებს  
 მიჭყვება წამივით,  
 ჩემი ცხოვრება  
 ირწევა ნავივით,  
 ღმერთის ნებაა  
 ეს ეველაფერი  
 და თავს ვერ დააღწევ  
 ტირილით, ბღავილით.  
 აგერ მიკაკუნებს  
 კარებსზე სიკვდილი,  
 მაგრამ ვერ დამაკლო  
 მაინც ვერაფერი,  
 ალბათ იმიტომ, რომ  
 ღმერთით იწეება და  
 ღმერთითვე მთავრდება  
 ქვეყნად ეველაფერი.  
 მე კი მზადა ვარ  
 სხეულით შეუერთდე,  
 და გაუვევ შარს გზას  
 უვავილით დაფენილს,  
 მაინც რა არის  
 ჩვენი სიცოცხლე  
 ნეტა რა მოხდება,

ანდა წინ რა გველის.  
 ერთი ხელის მოხმით  
 სულს ვერ გაუდექი,  
 მაინც სულ სხვა არის  
 მასთან განშორება,  
 ჩემ აზროვნებაში  
 კი ბევრჯერ შევქმელი  
 სხეულის გმობა და  
 მასთან დაშორება.  
 რამდენი ძმაკაცი მომიკვდა,  
 არ ვიცი,  
 რამდენი ჩაიძირა  
 წარსულის მორევი,  
 დავდივარ ამ ქვეყნად  
 ბებერი ხარავით  
 ეულად გარეული  
 ამოდენ ხბორებში.  
 ანდა რა აზრი აქვს  
 ისეთ სიცოცხლეს,  
 როცა გიყურებენ  
 და არც გიყურებენ,  
 არავის ახსოვხარ  
 და არვის სჭირდება.

# მ, ენაჲ ჩვენო



ქარი დაკრიალებს  
 ცრემლიან ქუხანსე  
 და ენეთქება  
 ჭიშკარის კარბჭეს,  
 მარტო მაშინ ვხვდები,  
 რომ ჯერ ცოცხალი ვარ  
 და ქარის გრიალი  
 სიცოცხლეს მანიჭებს,  
 წვიმიან ამინდში,  
 ცრემლიან ქუხანსე,  
 ეულად მიუყვები  
 დარდიან ბილიკებს,  
 თითქოს დედამიწა  
 სიუვარულს მიცხადებს  
 და მაგრძნობინებს რომ  
 არსად გამიშვებს.  
 და ასე შემოვრჩი  
 ეულად ქვეყანას,  
 რიგი დაუკარგე და  
 რიცხვები ამერია,  
 ნეტავ რად მიბოძა  
 უფალმა სიცოცხლე,  
 როცა სამეკობროს  
 სიკვდილი დაერია.  
 რადგანაც ასე  
 ინება განგებამ,  
 ამ ქვეყნად ვიყო და  
 და თან არსად წავიდე,  
 სიკვდილი ბავშვივით  
 ხელში ავიტაცე და  
 მხარზე გავიდე.  
 ასე დავდივარ  
 და დამაქვს სანანე,  
 აღარც მოვიშორებ,  
 სანამ მუხლი მიჭრის,  
 ასე გატარებ  
 ჭირვეულ ბავშვივით,  
 სანამ ძალა მაქვს და  
 ღმერთი არ დამიშლის.

31 წლის წინ, 1978 წლის 14 აპრილს, რუსთაველის გამზირზე გამოსული რამდენიმე ათასი ადამიანი წინ აღუდგა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის ნებას და არ დაუშვა საბჭოთა კონსტიტუციის 78-ე მუხლში შეტანილი იმ ცვლილების დამტკიცება, რომლის მიხედვითაც, ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა.

31 წლის წინ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ხალხთა ენები სტატუსს კარგავდნენ იმ საბაბით, რომ ისინი ბოლომდე ვერ ასრულებდნენ სახელმწიფო ენების ფუნქციებს. ცვლილება, რომელიც საკავშირო კონსტიტუციის ახალ რედაქციაში შევიდა და რომელიც ქართულ ენასაც ემუქრებოდა, საქართველოს უმაღლეს საბჭოს 1978 წლის 14 აპრილს უნდა დაემტკიცებინა, თუმცა, როგორც მაშინდელი მოვლენების აქტიური მონაწილე ვახტანგ ძაბირაძე იხსენებს, სიახლე მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის.

„ვინმე გამოკვეთილი ორგანიზატორი არ ყოფილა“, - ამბობს ვახტანგ ძაბირაძე. - „იყო მუხტი, რომელმაც თავისთავად მოახდინა საპროტესტო აქციის ორგანიზება. იყო აკაკი ბაქრაძე, მარიკა ლორთქიფანიძე და სხვა უამრავი ადამიანი, რომელიც ხმამაღლა გამოხატა სიახლეს. ასე ნელ-ნელა შემზადდა 14 აპრილი.“

14 აპრილის შემზადებაში, როგორც ვახტანგ ძაბირაძეც ამბობს, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ აკაკი ბაქრაძემ, რომელსაც უაღრესად დიდი გავლენა ჰქონდა მაშინდელ საზოგადოებაში და რომელსაც უსმენდნენ. აკაკი ბაქრაძის შვილი, ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე ამბობს, რომ „14 აპრილი“ იყო საბჭოთა კავშირში პირველი მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელსაც გარკვეული დადებითი შედეგი მოჰყვა.


„ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი გარდატეხის წელი არა



მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად საბჭოთა კავშირის ისტორიაში“, - ამბობს ლაშა ბაქრაძე.

ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ეროვნული მოძრაობის აღმავლობას პირველი ბიძგი სწორედაც რომ 1978 წლის 14 აპრილმა მისცა. ამ დღის მნიშვნელობას არ აკნინებენ მოქმედი პოლიტიკოსებიც, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, რომლის თქმითაც, 1978 წელს ენის დაცვა, იმავდროულად, იყო ქართველთა მიერ საკუთარი იდენტურობის დაცვა, იმ სახელმწიფოს დაცვა, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობდა და რომელიც შეიქმნა ქართული ენისა და დედაენის დახმარებით.

14 აპრილს დედაენის დღესთან დაკავშირებით ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ერთი დღით „დედაენის“ პირველი გამოცემები და იაკობ გოგებაშვილის ავტოგრაფები გამოფინა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მისულ სტუმრებს - მათ შორის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს - მეგზურობას ცენტრის დირექტორის



მოადგილე თამარ გეგია უწევდა, მინისტრმა ნიკა გვარამიამ კი ხაზი გაუსვა გამოფენილი ექსპონატების, განსაკუთრებით კი დედაენის მნიშვნელობას. მისი თქმით, „დედაენა“ ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების მთავარი ფესვია. „ჩვენ არ ვაპირებთ მოვწყდეთ ამ ფესვებს“, - ამბობს ნიკა გვარამია, - „დღესაც ქართველი მოსწავლეების ძალიან დიდი ნაწილი სწავლობს დედაენით და თავის შემეცნებას იწყებს გენიალური პალინდრომით „აი ია“.

„აი ია“-თი ნასწავლ ენას რომ ძლერი ფესვი აქვს და მის ამოძირკვას ვერავინ მოახერხებს, ამაში დარწმუნებულია ნესტან ბაგაური - განათლების დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომელი:

„ძნელია იმ ენის მოსპობა, რომელსაც აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რომელმაც გაუძლო სასანიდურ ირანს, გაუძლო დიდ თურქობას, გაუძლო მონღოლებს. შეუძლებელია ამ სიძველისა და ამ განვითარების ენის ამოთხრა“, - ამბობს ის.

თუმცა საბჭოთა კავშირის მესვეურებმა ქართული ენის „ამოთხრა“ მაინც სცადეს. ვახტანგ ძაბირაძის, 30 წლის წინანდელი მოვლენების აქტიური მონაწილის, თქმით, ენის დაკარგვის საფრთხემ მაშინდელ საზოგადოებას გმირობისკენ უბიძგა.

„როდესაც მთავრობის სასახლისკენ მივდიოდით, შუახნის ხალხი, ვინც მოსწრებული იყო 1956 წლის მოვლენებს, გვეუბნებოდა, არ წახვიდეთ, გესვრიანო, მაგრამ ყველაფერი რომ დამთავრდა და უკან ვბრუნდებოდით, გვხვდებოდნენ როგორც გმირებს, რომ შევძელით და შევინარჩუნეთ ენა. 10 წლის მერე რომ აზვირთდა ეროვნული მოძრაობა, რა თქმა უნდა, იყო 1978 წლის 14 აპრილი - ის, რომ ჩვენ შევძელით გამარჯვების მოვოვება“, უთხრა ვახტანგ ძაბირაძემ რადიო თავისუფლებას.



# ივანე ჩოქიაძე



ის სიმაღლე რომ ფსევქვიდან იზომება, ეს ვიცით. არადა თანამედროვე ცივილიზაციული ცხოვრება ხანდახან წარსულს ნისლად გადაფარება და მხოლოდ წინ მიიღტვის.

ნიგნი, „ხალხური სიმღერის მოამბანი“ ლადო გეგეჭორის ჩანაწერებზე დაყრდნობით შეიქმნა, რომელიც მთელი სიბრძნე-სიბანით ასახავს ჩვენი ფსევქვის სიძლიერას. მებრული (და არამატო) ჯიშისა და ბენის ბენიალურობას.

გადავწყვიტეთ ქართული ფოლკლორის კიდეც უფრო სიღრმისეულად გაცნობის მიზნით შევქმნათ ახალი რუბრიკა: „რაც დავიწყებით არ იბინდება“ და ყოველ ნომერში შემოგთავაზოთ მებრული მომღერალი ოჯახები თუ ცალკეული პიროვნებები, ვინც შთამომავლობას ოქროს საბანძური შემოუნახა.



## ივანე ჩოქიაძე (1972-1951)

ძუკუ ლოლუა ერთ-ერთი მასწავლებელთაგანი იყო. ქოლას სამრევლო სკოლაში ისწავლა, მაგრამ მიღებული მცირე ცოდნა კარგად გამოიყენა. გარდა სიმღერისა, დიდი უნარი გამოიჩინა სოფლის მეურნეობაში – მეფუტკრეობაში.

სიმღერით გატაცება მასაც მშობლისა და ძმებისაგან გადაედო; შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ რაიმე ახალი ხალხური ჰანგი არ შეეთვისებინა. „ჩემი მასწავლებელი იყო სოფლის ქორწილები, სოფლის დღესასწაულები, - ამბობს იგი - იქ თავმოყრილი მომღერლები, ცეკვა-თამაში, ხალხური კილო, ოხუნჯობა, შაირები - აი, რა მომცა ხალხმა და გამხადა ბედნიერი.“

პირველ ხანებში ვერ ახერხებს გუნდის შექმნას. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზუგდიდის განყოფილებამ დაავალა გამოეყვანა თავისი ჯგუფი ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან ასიწლის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე. კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ქებაც დაიმსახურა, მაგრამ იქვე წუნწინი გაისმა: ეს რა კაცია, უსაქმო საქმისათვის მიუყვია ხელიო.

შემდეგ ფართო ასპარეზი გადაეშალა წინ. გალაკტიონ ქელიძესთან მღერის ზუგდიდის გუნდში და მისი მოადილეც ხდება.

წალენჯიხის რაიონმა მას ეთნოგრაფიული გუნდი ჩააბარა, რომელმაც, 1936 წლიდან მრავალი კონცერტი გამართა. რაიონში რამდენიმე გუნდი დააარსა, ხალხურ სიმღერებს ასწავლიდა ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს. წალენჯიხის გუნდმა დიდი წარმატება მოიპოვა მეოთხე და მეხუთე რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე.

ივანეს რეპერტუარი უმთავრესად ისეთი სახუმარო სიმღერებისგან შედგებოდა, როგორებიცაა: თუნთუქ რხინით მიხალისუ“ (დათვი ლხინით გახალისდა), „ქაჯური“ და სხვა.

მოხუცებულობის გამო წალენჯიხის რაიონული გუნდის ხელმძღვანელობა თავის მოწაფეს, აგრონომ ვლადიმერ სალიას, გადააბარა. წალენჯიხის გუნდმა სალიას ხელმძღვანელობით საქართველოს მეექვსე და მეშვიდე ოლიმპიადებში კვლავ თავი ისახელა.

ივანე ჩოქიაძე დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სიმღერას ყველას დიდი მონდომებით ასწავლიდა.





*სწორი და სწავითვის ამცნობს*

## ზუბიდის მუნიციპალიტეტის საავტონომილო გზაზე საკააბილიტასიო საშუაოები მიფინაჩოუს

მუნიციპალიტეტის სოფლებში უჩაშონასა და ინგირში სასაფალოებთან მისასვლელ გზებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. აღნიშნულ გზებზე სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ხორციელდება და აპრილის თვის ბოლომდე დასრულდება. ხოლო სოფელ ჭითანყარის ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოსთან მისასვლელი შიდა საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დასრულებულია. აღნიშნულ გზაზე ასფალტ – ბეტონის გზის საფარი 632 გრძე მეტრზე დაიგო.

რაც შეეხება უჩაშონას ტერიტორიულ ერთეულში ავარიული საავტომობილო გზის რეაბილიტაციას ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამუშაოები. სარეაბილიტაციო გზის სიგრძე შეადგენს 8638 კვ.მ. აღნიშნული გზა ერთმანეთთან აკავშირებს რამდენიმე სოფელს ჭაქვინჯს, ჯიხაშკარს, ასევე ჩხორონყუს მუნიციპალიტეტს.







ამ ეტაპზე მიმდინარეობს ასფალტო-ბეტონის საფარისთვის საფუძვლის მომზადება. პროექტის დასრულების შემდეგ ამ გზით ისარგებლებს 670 სოფლის მკვიდრი და არაპირდაპირ ამ გზით ისარგებლებს 3000-მდე ბენეფიციარი.

აღნიშნული გზის რეაბილიტაციის შემდეგ ამ გზით მოსარგებლებების გადაადგილება გახდება უსაფრთხო, გაუმჯობესდება მათი სოციალური მდგომარეობა და პროექტის მიმდინარეობის განხორციელებისას დასაქმდება ადგილობრივი მუშახელი. პროექტის ღირებულება შეადგენს 482.000 ლარს და ის მაისის თვის ბოლოსთვის დასრულდება.

სოფელ ინგირის ცენტრალურ სასაფლაოსთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგი ეტაპი ხორციელდება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გზაზე ასფალტის საფარის დაგება.

სარეაბილიტაციო გზის სიგრძე 1.084 მეტრს შეადგენს. აღნიშნული გზის მონაკვეთი ადგილობრივი მნიშვნელობისაა და ანაკლია-ზუგდიდის ცენტრალურ გზას უერთდება. ამ გზის მონაკვეთით სარგებლობს 620 ადგილობრივი მოსახლე. გზაზე ინტენსიური საავტომობილო მოძრაობაა და დღე-ღამის განმავლობაში 80-დან 160-მდე ავტომობილი გადაადგილდება. ინგირის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის პროექტი რომელიც, სატრანსპორტო გზის მოასფალტებას ითვალისწინებს უახლოეს დღეებში დასრულდება.



## ჭყშიანი შუმიქვაი

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღესთან დაკავშირებით დღეს გამსახურდიას ძეგლი თაიგულებით შეამკეს მხარის გუბერნატორის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა.

31 მარტს დაიბადა ზვიად გამსახურდია (1939-1993) — მეცნიერი-ფილოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, დისიდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი (1991—1992), საქართველოს ეროვნული გმირი.





## რეგიონი

წლების განმავლობაში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დოცენტად. გამოცემულია მისი ლექსებისა და იგავ-არაკების კრებულები, აგრეთვე, შექსპირის, ბოდლერის, გოგოლის და სხვათა თხზულებების მისეული თარგმანები. დისიდენტური საქმიანობისათვის ზვიად გამსახურდია საბჭოთა უშიშროების კომიტეტმა დააპატიმრა 1956 და 1977-1979 წლებში. 1977 წლის 1 აპრილს ზვიად გამსახურდია გარიცხეს საქართველოს მწერალთა კავშირიდან „ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის“. გამსახურდია იყო მთავარი ორგანიზატორი 1987-1990 წლებში გამართული თითქმის ყველა ძირითადი მშვიდობიანი მასობრივი აქციისა, მათ შორის 1989 წლის აპრილის საპროტესტო აქციისა, რომელიც დასრულდა 9 აპრილს სისხლიანი დარბევით, რის შემდეგაც ზვიად გამსახურდია დააპატიმრეს, როგორც აქციის ორგანიზატორი. მერაბ კოსტავას დაღუპვის შემდგომ, ზვიად გამსახურდია სათავეში ჩაუდგა „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოებას“. ზვიად გამსახურდიამ შექმნა პოლიტიკური ალიანსი „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“. მისი მთავარი პოლიტიკური მიზანი იყო ჯერ დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება, შემდეგ კი - ამ რეფერენდუმზე დაყრდნობით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის მიღება.






# ვალერისან გუნია




ვალერიან ლევანის ძე გუნია დაიბადა 1862 წლის 21 იანვარს სენაკის რაიონის სოფელ ეკში. კერძო მასწავლებლების ხელმძღვანელობით ისწავლა რუსული და გერმანული ენები. თბილისის რეალური სასწავლებლიდან პოლიტიკურ გამოსვლებში მონაწილეობისთვის გარიცხეს. შემდეგ მოსკოვში გააგრძელა სწავლა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში. ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის დახმარებით დაუახლოვდა მცირე თეატრს და თეატრალური საქმიანობა შეისწავლა. 1882 წელს სამშობლოში დაბრუნებული აქტიურად ჩაება თეატრალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იმავე წელს ვასო აბაშიძის ხელმძღვანელობით პირველად გამოვიდა სცენაზე. ითამაშა ოტელო, მეფე ლირი, ოიდიპოსი, კაკო ყაჩაღი, ოთარ-ბეგი. გამოირჩეოდა დიდი სცენური მომხიბვლელობით, შთამბეჭდავი გარეგნობით, შესანიშნავი ხმით, ძლერი ტემპერიმენტით. დიდი წვლილი მიუძღვის ქართველ პროფესიონალ მსახიობთა აღზრდაში. წლების განმავლობაში სათავეში ედგა ქართულ დრამატულ დასებს. მან შექმნა და გადმოაკეთა მრავალი პიესა, დანერა ლიბრეტოები ოპერებისათვის – ფალიაშვილის „დაისი“, არაყიშვილის „დინარა“ და სხვა. რედაქტორობდა პერიოდულ გამოცემებს – ჟურნალ „თეატრს“, დააარსა გაზეთი „ცნობის ფურცელი“, იუმორისტული ჟურნალი „ნიშადური“, 1888 წელს გამოსცა „საქართველოს კალენდარი“. ვალერიან გუნია იყო თეატრის თვალსაჩინო ისტორიკოსი და თეორეტიკოსი, სისტემატურად აქვეყნებდა კრიტიკულ წერილებს, ნარკვევებს, თეორიულ სტატიებს. აღსანიშნავია ისტორიული ნარკვევი „ქართული თეატრი 1879-1889“.



ვალერიან გუნია ხელმძღვანელობდა 1907 წელს საგურამოდან ილია ჭავჭავაძის გადმოსვენებას. თვითონ ჩოხით გამოწყობილი ცხენზე ამხედრებული მიუძღვოდა პროცესიას.

1921 წლიდან ხელმძღვანელობდა ქართულ თეატრებს, იყო ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამგეობის პირველი თავმჯდომარე.

**დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.**







# სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების მართვის სააგენტოს სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში მოიპოვა 782 000 აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსება.

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი სოფლი

27 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან ოთარ დანელიასთან, სახელმწიფო რწმუნებულთან გუბერნატორთან ლევან შონიასთან და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან გორა ქაჯაიასთან ერთად თხილის ქარხანა მოინახულეს, ხობში შპს "ჯორჯიან პროდაქტს რენესანსის" მიერ დაფუძნებული ქარხანა 2013 წელს აშენდა და მასში 300 000 აშშ დოლარის მოცულობის ქართული ინვესტიცია განხორციელდა. წარმოების განვითარების მიზნით, ქარხანამ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში მოიპოვა 782 000 აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსება. საწარმომ შეძლო შეესყიდა თანამედროვე, უახლესი მოსახალი და შესაფუთი მანქანა-დანადგარები, ძირითადი საჭირო, საწარმოო აღჭურვილობები და ნედლეული.

ქარხანაში ინარმოება თხილის გული, მოხალული თხილი, ბლანშირებული თხილი და აგრეთვე ინოვაციური თხილის პროდუქტი-მოხალული, დამარილებული თხილი ნაჭუჭით. მასში ამ ეტაპზე 25 ადამიანია დასაქმებული (პერსექტივაში 70 ადამიანი დასაქმდება) და დღეში 4 ტონამდე თხილის გადამამუშავებას ახორციელებს.



## სოფლის მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ მცირემინიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის მიხედვით ხვნის სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ ხიბულაში, ძველ ხიბულაში, საჯიჯაოში, ქვემო ქველონსა და ჭალადიდში დაიწყო.

მიმდინარე სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გორა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, გამგებლის მოადგილემ მახარე ჩოკორაიამ და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ანგულ მიქავამ დაათვლიერეს.

ხობის მუნიციპალიტეტში სულ დასამუშავებელია 13 587 ჰექტარი მიწა. კონტრაქტორები არიან შპს „მექანიზატორი“, ამხანაგობა „სოფლტექსერვისი“, ინდემნარმეები „რომან ხარეიშვილი“, „ზურაბ ახალაია“, „მამუკა ტყეპუჩავა“. ბარათით წელს მუშავდება 7587 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. დღეის მდგომარეობით დამუშავებულია 442 ჰექტარი მიწა.



# რეგიონი

## სოფლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

26 მარტს, ხობის მუნიციპალიტეტის პატარა ფოთისა და ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული სადრენაჟო სისტემების „რიონი-ხობი I“-ისა და „რიონი-ხობი II“-ის სრულ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს გაეცნენ შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ გენერალური დირექტორი ლევან დვალი, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ანგულ მიქაია.

სადრენაჟო სისტემა 1400 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს მოემსახურება. სამუშაოების სრული ღირებულება 1,5 მილიონ ლარს შეადგენს და მას შპს „ტერმინალი“ ასრულებს. სამუშაო პროცესში 25 ადგილობრივი მკვიდრია დასაქმებული.

საქართველოში სოფლის მხარდაჭერის 50 მილიონიანი პროგრამის ახალი ეტაპი დაიწყო. მოსახლეობის ჩართულობით სოფლის პრიორიტეტების განსაზღვრისა და შესაბამისი პროექტების შერჩევის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა, გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ზაზა ბუკია და ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული მონაცემებისა და ქალაქმშენებლობის განყოფილების უფროსი გიგა დანელია ხობის მუნიციპალიტეტის 21 ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდნენ. პრიორიტეტულ პროექტებად დასახელდა სოფლებში არსებული საბავშვო ბაღების რემონტი, არხის ამონმენდითი სამუშაოები და გზის მოხრეშვა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული თანხა გამოყენებული უნდა იქნეს სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დასაფინანსებლად.



## წყლის სისტემის რეაბილიტაცია შუა ხორგაში

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ და გამგებლის მოადგილემ მახარე ჩოკორაიამ შუა ხორგის თემში მიმდინარე წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს. წყლის სისტემის რეაბილიტაციას ესპანური კომპანია შპს „კობრას“ დაკვეთით შპს „გოდოლი“ და შპს „ძ“ ასრულებენ. პროექტის ფარგლებში მოხდება 11 კმ გადამცემი მაგისტრალური მილსადენის მშენებლობა და დაქსელვა.

შუა ხორგაში სამუშაოები მარტის დასაწყისში დაიწყო, ამ ეტაპზე 5 კილომეტრამდე ცენტრალური მილია გაყვანილი და სამუშაოები თვის ბოლომდე დასრულდება. სარეაბილიტაციო სამუშაოებში დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.



## წყლის მილგუნის სარეაბილიტაციო სამუშაოები ძვალონში

ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის თემში მიმდინარეობს წყლის მილების სარეაბილიტაციო სამუშაოები. წყლის სისტემის რეაბილიტაციას ესპანური კომპანია შ.პ.ს. „კობრას“ დაკვეთით შპს „საბა“ ასრულებს. პროექტის ფარგლებში მოხდება გადამცემი მაგისტრალური მილსადენის მშენებლობა და დაქსელვა.

სამუშაოების ოფელ ქვემო ქვალონში 10 დღეში დასრულდება, რის შემდეგაც მოსახლეობას 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება. კომპანია „კობრა“ ერთ-ერთი უმსხვილესი ესპანური კომპანიაა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ახორციელებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს. აღნიშნული კომპანია უკვე არაერთი წელია მოღვაწეობს საქართველოში. მას ქვეყანაში საკუთარი წარმომადგენლობა გააჩნია და ახორციელებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ხობის მუნიციპალიტეტში წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებში 80 ადამიანი დასაქმებული.







### სოფლის საქონლოების მცნობის სოფელ გაჭაღილში სანიაღვრე არხები და გადასასვლელი მილხიდავი მოყვო

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილში (სკურდის უბანში) მოეწყო ბეტონის სანიაღვრე არხები და გადასასვლელი მილხიდავი. პროექტი დაფინანსდა საქართველოს მთავრობის 30 დეკემბრის №2551 განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი თანხებიდან, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში. პროექტის ღირებულებაა 12322 ლარი, სამუშაოს შეასრულა ი/მ „პაატა კვეკვეციაძე“. აღნიშნულ პროექტში დასაქმებული იყო 5 ადგილობრივი მცხოვრები.



### მედიკოპოეტი „ეტალონის“ შესარჩევი ტური მარტვილში

26 მარტს, მარტვილის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ყველაზე ეროვნული, სოციალურ-საგანმანათლებლო მედიკოპოეტი „ეტალონის“ შესარჩევი ტური, რომელსაც დაესწრო მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი ალექსანდრე გრიგალავა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვარლამ ქაჯაია. მუნიციპალიტეტის გამგებელმა მონაწილეებს წარმატება უსურვა. პროექტში მონაწილეობდა 35 საჯარო სკოლის 54 წარმატებული მოსწავლე. პირველ ეტაპზე შეირჩა 21 მოსწავლე: ირმა ცაგურია, შოთა გაბისონია, ალექსანდრე თოდუა, გიორგი გულორდავა, თემიდა ჩიხლაძე, ცოტნე წულაია, მარიამ შანგუა, მირანდა ხურცილავა, თეონა ცაავა, მარიამ ხურცილავა, ქრისტინე ჯიჯავა, მამუკა ბჟალავა, გურანდა ბჟალავა, კონსტანტინე წონორია, გიორგი წულაია, სალომე ჯღარკავა, სალომე სხულუხია, ნანა ძაძამია,



თეკლე ბართია, საბა ჯღარკავა, გოგიტა ფოჩხუა. გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ II ტურში (II ტური ჩატარდება 31 მარტს, 14:00 საათზე, მარტვილის №1 საჯარო სკოლაში). გამარჯვებული ათი მოსწავლე გადავა ფინალურ ტურში, რომელიც ჩატარდება ქ.თბილისში. „ეტალონის“ შესარჩევი ტური ჩატარდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და მხარდაჭერით.

**მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა  
ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა  
საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი  
დეპუტატი ნაულ ჯანაშია და თანაბრძნობას  
უხსნაღებს განსვენებულის ოჯახს.**



**ნაკმატებულ სპორტსმენებთან შეხვედრა**

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი ალექსანდრე გრიგალავას სპორტოსკოლის წარმატებულ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს შეხვდა. მოისმინა მათი სპორტული მიღწევების შესახებ, მიღწეული წარმატებისათვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მათი დამსახურება სპორტის ყველა სფეროში მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდი წარმატებაა. წარმატებული ასპარეზობისათვის მადლობა გადაუხადა და გამარჯვებები უსურვა.



**ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ 20 წლისაა**



24 მარტს, ტრიფონ ხუბუას სახელობის კულტურის სახლში ჩატარდა კონცერტი ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედის“ დაარსების 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ღონისძიებაზე მონაწილეობდნენ ანსამბლის სხვადასხვა თაობის



მოცეკვავეები და კულტურის სახლთან არსებული შემოქმედებითი კოლექტივების წარმომადგენლები. მონაწილეებს გადაეცათ საპატიო სიგელები. ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. ღონისძიება ჩატარდა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მხარდაჭერით.

**მარტვილში ხანძრულ სტადიონი გაიხსნა**

დღეს, მარტვილში მურთაზ ხურცილავას სახელობის ცენტრალური საფეხბურთო სტადიონი საზეიმოდ გაიხსნა. სტადიონის რეაბილიტაცია ექვსი თვე მიმდინარეობდა. მოენყო სტადიონის დამცავი ნაგებობები, სადრენაჟე სისტემები, დაიგო მაღალი ხარისხის, „ფიფას“ სტანდარტების შესაბამისი ხელოვნური ბალახის საფარი. სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ 621 000 ლარი გამოიყო. 2000 - ადგილიანი საფეხბურთო სტადიონი ფუნქციონირებას დღეს იწყებს. დღესვე ახლად გახსნილ სტადიონზე საფეხბურთო შეხვედრა გაიმართა, ერთმანეთს მარტვილის „მერანი“ და „ცხინვალი“-ს გუნდები შეხვდნენ. საზეიმოდ გახსნას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები.





# რაპეითუ მრავალ პრისან ჩინებულნი და მხირედ - რჩეულნი

საფრანგეთში, პარიზის მახლობლად, ლევილის სასაფლაოზე, ასობით ქართველი ემიგრანტის ნეშტი განისვენებს, სამშობლოდან ნებსით თუ უნებლიედ გადახვენილ ასობით ადამიანს სტანჯავდა ნოსტალგიის მწარე სენი, ასობით ქართველი ათენებდა და აღამებდა მონატრებულ საქართველოში დაბრუნების იმედით. ძალიან შორს წაგვიყვანს იმის ანალიზი, თუ რატომ, როგორ და რის გამო მოხდა, რომ XX ს.-ის დასაწყისშიც, ისტორიული წარსულის ამდენი „ვაისა“ და „ვუის“ გაცნობიერების შემდეგ, ძლივს აღდგენილი საქართველოს დამოუკიდებლობა ლანგრით მიერთვა რუს დამპყრობელს და კიდევ ერთხელ მოხდა რჩეული საზოგადოების, ინტელექტუალური ძალისა და სამშობლოსათვის ანთებული გულების გადინება. ერთის თქმა კი აუცილებელია, სამწუხაროდ, მე-20 საუკუნის დასაწყისში გაიმარჯვეს სოციალისტურმა ძალებმა. 1919 წელს არჩეულ დამფუძნებელ კრებაშიც უმრავლესობა მათ მოიპოვეს. ჭეშმარიტად ეროვნული ძალა, ეროვნულ-დემოკრატიები კი, რომლებიც ჯანსაღ, ეროვნულ, ქართულ პოლიტიკას მიზანმიმართულად ატარებდნენ, უმცირესობაში მოხვდნენ: ასოცდაათი დეპუტატიდან ას ცხრა სოციალ-დემოკრატი გახლდათ, რვა – სოციალ-ფედერალისტი, ხუთი – სოციალ-რევოლუციონერი, მხოლოდ რვა ადგილი ერგო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას (სპ. კედია, ნ. ნიკოლაძე, გ. გვაზავა, ე. თაყაიშვილი, ა. ასათიანი, გ. ქიქოძე, ი. მაჭავარიანი, პ. სურგულაძე), რომელიც თავიდანვე ოპოზიციაში ჩაუდგა მმართველ ძალას და ბოლომდე ერთგული დარჩა დიდი ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეალებისა. ამ მემარჯვენე ოპოზიციურ ფრაქციას სათავეში სპირიდონ კედია ჩაუდგა.

მოვლენები როგორც განვითარდა, ყველამ კარგად ვიცით. 1921 წლის თებერვალ-მარტში ახლა უკვე წითელმა რუსეთმა დაიპყრო საქართველო და შეეცადა მის განითლება – დამორჩილებას. მენშევიკური მთავრობა საფრანგეთს შეეხიზნა, საქართველოში დარჩა



**სპირიდონ  
კედია —  
საქართველოს  
ოპოზიცი**

ხალხი, ვისაც ბოლშევიკური რუსეთი უფროს ძმად, მხსნელად მიაჩნდა, და დარჩა ხალხი, ვისაც არ შეეძლო სამშობლოს ბედის ანაბარად მიტოვება, მტრის ხელში ჩაგდება, არ შეეგუა არსებულ სინამდვილეს და სიცოცხლის მთავარ მიზნად ქვეყნის გათავისუფლება დაისახა. ზოგი იარაღით ხელში ტყე-ტყე იბრძოდა (გავიხსენოთ თუნდაც 1921 წლის ზაფხულის აჯანყება სვანეთში, 1922 წლის ზაფხულის აჯანყება ხევსურეთში, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება), ზოგი — დიპლომატიური ხერხებით ცდილობდა შეველას!

მაგრამ არ ეძინა ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებასაც სოციალისტურ-იმპერიალისტური მანქანა თანდათან ძლიერდებოდა და ობობასავით ქსელში, ოღონდ რკინის ქსელში აბამდა და ხუთავდა თავის მსხვერპლს, რომელსაც ეროვნულად და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი ერქვა.

შეიქმნა საგანგებო კომისია (ЧК), სახელმწიფო პოლიტსამმართველო (ГПУ), შინსახკომი (НКВД), რომლის ჯალათებიც ფხიზლად მუშაობდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ იმ ადამიანებს, ვისაც თავისუფლება სწყუროდათ!

ასე დაიჭირეს 1922 წლის 12 თებერვლის ერთ სუსხიან დღესაც ვოზნესენსკის (ყოფილი ამალღების) ქ. 7—ში მცხოვრები სპირიდონ კედია, მისი დაპატიმრება მოხდა საგანგებო კომისიის მიერ 10 თებერვალს გამოწერილი ორდერ 2464 — ის საფუძველზე, რომელიც გაიცა ვინმე კომისარ კოჩაროვის სახელზე, მაგრამ მანამდე მოკლედ გავიხსენოთ მისი პიროვნება და ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები: სპირიდონ კედია დაიბადა 1884 წლის 20 სექტემბერს ქ. ზუგდიდში. ხუთწლიანი რუსული სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გააგრძელა. ქუთაისში სპირიდონი პატრიოტი პედაგოგის — იოსებ ოცხელის ოჯახში ცხოვრობდა, რამაც დიდი გავლენა იქონია მის, როგორც სამშობლოს კეთილდღეობისთვის მებრძოლი ადამიანის, ჩამოყალიბებაში. 1905 წლის რევოლუციის დროს მონაწილეობდა მიტინგებში, რის გამოც იძულებული გახდა რეაქციის წლებში თავი ჯერ სვანეთისთვის, შემდეგ კი პარიზისთვის შეეფარებინა.

სწავლობდა სორბონის უნივერსიტეტში, საბუნებისმეტყველო დარგზე, შემდეგ სამხრეთ საფრანგეთში, აილო დიპლომი “ლისანს ეს სიანს”; მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საქართველოში სხვისი პასპორტით ბრუნდებოდა, მაგრამ პეტერბურგში დააკავეს და მხოლოდ

ქართველი გენერლის — ნაკაშიძის ჩარევის შემდეგ გაათავისუფლეს.

1917 წლის ივნისში ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის თავმჯდომარედაც სპირიდონ კედია აირჩიეს. მას მჭიდრო კავშირები ჰქონდა ბერლინში მოქმედ „საქართველოს თავისუფლების კომიტეტთან“, მაგრამ ძირითადად დაკავებული იყო პარტიის გაზეთით “საქართველო” და დამფუძნებელ კრებაში მოღვაწეობით, რომელშიც, როგორც უკვე ვთქვით, ოპოზიციურ ფრაქციას ედგა სათავეში. საბჭოთა ხელისუფლების ძალით დამკვიდრების შემდეგ სპირიდონი ემიგრაციაში არ წასულა, აქ დარჩა და ბრძოლა განაგრძო. ეროვნულგანმათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში სწორედ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ჩაუდგა, რომელმაც არალეგალური, მინისტრების საქმიანობაც შეითვისა, სპირიდონმა შემოიკრიბა პატრიოტი მებრძოლები — ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ბიძინა პირველი, მიხეილ გვალია. წითელი არმიის შემოჭრის წლისთავის აღსანიშნავად, 1922 წლის 11 თებერვალს, თბილისში განზრახული ჰქონდათ მასობრივი ანტისაბჭოთა საპროტესტო დემონსტრაციის მოწყობა, გამოუშვეს ბროშურები, პროკლამაციები, რაც, რა თქმა უნდა, გაუგებარი არ დარჩენიათ „ჩეკას“ ჯალათებს და ორდერი 2464—იც გამოიწერა. გამოიწერა და მეორე დღესვე დააპატიმრეს 38 წლის სპირიდონ კედია თანამოაზრეებთან — იასონ ლორთქიფანიძესთან, მიხეილ ღვამიჩავასთან, სამსონ ფირცხალავასთან ერთად (სხვათა შორის, მოგვიანებით მიხეილ ღვამიჩავა დახვრიტეს 1937-38 წლების რეპრესიების დროს უფრო ზუსტად კი დახვრიტეს 1938 წლის 30 აპრილს).

## **ბთაჰაზოზთ ნაწყვეტს მისი ღაკითხვის ოქმიღან, რომელიც შსს არქივშია ღაცული:**

„1905-ში, როგორც ემიგრანტი, ევროპაში წავედი, იქიდან დავბრუნდი 1914 წელს, ამავე წლის მარტში დამიჭირეს პეტროგრადში, ბრალი მედებოდა ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული მოქმედების წარმოებაში, თავი გავითავისუფლე იმავე წელს, ზაფხულზე სამშობლოში დავბრუნდი, სადაც შეუდექი არსებულ ყურნალგაზეთებთან თანამშრომლობას, შემდეგ ჩემი პირდაპირი მონაწილეობით ვსცემდი ახალ ყოველთვიურ ორგანოს ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებამდე საქართველოში, ვიყავი დამფუძნებელი კრების, წინათ საქართველოს პარლამენტის წევრი. წამოყენებული ბრალდების საპასუხოდ ვაცხადებ კატეგორიულად, რომ



საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არ მიმოქმედნია არც კალმით, არც სიტყვით და არც სხვა ღონისძიებით, პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი დარჩა გაუქმებულად, რაკი ლეგალური მუშაობის შესაძლებლობას სპობდა დამყარებული ხელისუფლება და ვაცხადებ გადაჭრით, რომ არც პარტიას და არც ცენტრალურ კომიტეტს არ გადაუდგამს არავითარი აქტიური ნაბიჯი არც მინისტრებმა და არც სხვა სახით, ამის პასუხისმგებელი ვარ მთელი იმ ხნის განმავლობაში, რომელმაც გაიარა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ჩვენი დაპატიმრების დღემდე, აქედან გამომდინარე, ჩვენი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურია” (სტილი დაცულია). მაგრამ არ იყო ლოიალური საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება მისადმი.

სპირიდონი დაპატიმრეს, ექვსი თვე ჯერ მეტეხის ციხეში, შემდეგი ექვსი თვე კი საგუბერნიო ციხეში გაატარებინეს. თუ რა პირობებში უხდებოდა პატიმრობა სპირიდონს, ამაზე ნათლად მიუთითებს მისი მეუღლის განცხადება, მიმართული საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარისადმი:

„ამა წლის თიბათვეში ჩემმა მეუღლემ, პოლიტიკურმა პატიმარმა სპირიდონ მალხაზის ძე კედიაშვილმა განუცხადა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა პოლიტიკურ პატიმართა საქმის გადახედვა, რომ სპეციალური წამლობა ესაჭიროებოდა და რომ ციხის საავადმყოფოში, თანახმად ციხის ექიმის განცხადებისა, საამისო პირობები არ მოიპოვებოდა; ამიტომაც სთხოვა კომისიას, ან სრულიად თავისუფალი მკურნალობის ნება დაერთო, ან, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, როგორმე სპეციალურ საავადმყოფოში გადაეყვანა. კომისიის თავმჯდომარემ პ. საყვარელიძემ ამ განცხადების გამო მიიყვანა ექიმი – სპეციალისტი და მას გაასინჯვინა ჩემი მეუღლის დაზიანებული ფეხი. ექიმმა დაუმონმა სპეციალური წამლობის საჭიროება, რომმდგომარეობა არგართულებულიყო და ფეხი სამუდამოდ არ გაჰფუჭებოდა იძულებული იყო გამასწორებელ სახლთა საავადმყოფოში მაინც გადასულიყო, აქ ექიმთა მთელმა კომისიამ გასინჯა და შეადგინა აქტი მისი ჯანმრთელობის შესახებ. სხვა და სხვა ორგანიულ დეფექტების ჩამოთვლის შემდეგ კომისიამ დაასკვნა სპეციალური წამლობის საჭიროება, რომელსაც ციხის საავადმყოფო ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღმოუჩენდა ჩემი მეუღლის ჯანმრთელობა კი უარესდება და საშიშ ხასიათს იღებს, საჭიროა

სწრაფი და სერიოზული წამლობა, ამიტომ გთხოვთ მისცეთ ამის საშუალება და დართოთ ნება საზღვარგარეთ გასვლისა, მით უმეტეს, რომ თქვენს პრაქტიკაში უკვე იყო იზოლაციის წესით დაპატიმრებულთათვის საზღვარგარეთ გასვლის ნებართვის პრეცედენტები და რუსეთშიაც ამგვარ ადმინისტრაციულ ღონისძიებას თითქმის სისტემის ხასიათი მიეცა, ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს შუამდგომლობაც დაკმაყოფილებული იქმნება”.

ბოლოს, როგორც იქნა, მისცეს საზღვარგარეთის პასპორტი, სადაც შავით თეთრზე მკაფიოდ ეწერა: „გთხოვთ მთავრობის წარმომადგენელთ, რომელთაც დავალებული აქვთ წესიერების დაცვა, თავისუფალი გზა მისცენ ბატონ სპირიდონ კედიას (მეუღლითურთ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელიც სცხოვრობს საქართველოში და მიემგზავრება უცხოეთს“

— ასე კულტურულად მოიშორეს კიდეც ერთი საშიში ეროვნული ძალა, კიდეც ერთი დაუღალავი მებრძოლი „საქართველოს ოქროპირად“ წოდებული კიდეც ერთი სასიქადულო მამულიშვილი თუმცა სამშობლოდან გადახვეწილი სპირიდონ კედია მაინც განაგრძობდა პოლიტიკურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას, გახლდათ პარიტეტული კოლეგიისა და ემიგრაციაში დაარსებული საქართველოს დამოუკიდებლობის საზღვარგარეთის დელეგაციის წევრი, სცემდა გაზეთ „ერის გუშაგს“, ჟურნალს — „სამშობლოსათვის“ და ურთიერთობდა ემიგრაციის არამარქსისტულ ნაწილთან, რადგან ნოე ჟორდანიას პრინციპები მისთვის მიუღებელი იყო, იგი ხშირად საყვედურობდა მთავრობის მეთაურს ეროვნული პრინციპებისთვის და ლაღისა და მხოლოდ სოციალისტური იდეოლოგიის, კლასთა ბრძოლის ქადაგების გამო.

რაც შეეხება მის საარსებო წყაროს, ჰქონდა „საპკურებელ სურნელებათა პატარა ლაბორატორია“, სადაც ამზადებდა სურნელოვან ესენციებს გიორგი მაჩაბლის სახელგანთქმული პარფიუმერული ფირმისთვის, ცხოვრობდა ოჯახით ამ ფირმის კუთვნილ სახლში პარიზის სამხრეთ — დასავლეთ უბანში, კლამარ-ად წოდებულ პატარა ქალაქში, აქვე გარდაიცვალა 1948 წელს, დარჩა მეუღლე — ულამაზესი ქალბატონი — ქართული გიმნაზიის ყოფილი გამგე, იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების მუზა — სოფიო ჩიჯავაძე და ქალიშვილი თეონა კედია.

დაკრძალულია ლევილში.

ლია კირიქაძე

**გავანაზრილე**

გავანაზრილე უკვე წამთარბი,  
ნათოვარ ევავილს აზის ფუტკარბი,  
ყოველდღე ნასუნთქ ჰაერს ვაგროვებ  
და ღმერთს მადლობა დღესაც ვუთხარბი.

გრილი მდინარე ამითამაშებს  
ფოთოლდანცვენელ შავ-თეთრ ნაფიქრებს,  
მერე ტალღები გარბიყავს სადმე,  
და შუქს მოაფენს ღამის ნაზირებს.

ზოგჯერ უფერო დამეურებს ზეცა,  
ზოგჯერ შვიდფერში სტიან მიწები,  
მაღე განაფხულს განაფხულებს,  
და მზის ცხელ გულში ამოვიწვები.



გავანაზრილე ჩემი აზრბილი,  
და ღმერთს მადლობა დღესაც ვუთხარბი,  
სითბოს ფერება უხდება მინდორს.  
როგორც სიყვარულს ტურფის უსტარბი.

**ბზობა**

ბეთანიის მთაზე სხივი სახეს ჰფენდა მაცხოვარს,  
ჩაჩორს ზურგზე ღმერთი ეჯდა, წმინდა სულის მათოვარს...  
ებრაელთა- მიმავალ გზას უფლის მადლი სწეალობდა,  
ფენრთ უფენდენ ბაიებს და ცა „ოსანას“ გალობდა.  
ისრაელში ტამრის კედლებს წმინდა ცრემლი სდიოდა,  
ურჯულობებს დაეკანათ, ცოდვა ირგვლივ კიოდა,  
უფლის სახლში სულს ჰეიდინენ თითქოს უფლის ჯინაზე,  
ღმერთო, გვისსენ ბოროტისგან ცოდვილ დეღამიწაზე.  
ზეთისხილის მთაზე ჰფენდა სხივი სახეს მაცხოვარს,  
ჩაჩორს ზურგზე ღმერთი ეჯდა, წმინდა სულის მათოვარს...

**აღდგომა**

აზრბილსა და მაისს შუა დღეებს წელული სტკიოდათ,  
ჯვარზე ეცვათ განაფხული, კვირტებს სისხლი სდიოდათ.  
გოლგოთაზე მიწა მრწოდა, ზეცამ ზეცა დაღარა,  
ქრისტემ ეკლის გვირგვინიდან სიყვარული დაღვარა.  
ღვთისმშობელის მხერა კრთოდა, მზის თვალების საღარო,  
ღმერთის სისხლით შეიღება, წვეთ-წვეთებად სამეარო.  
კვირის დილას მხეს ეკიდა წმინდა სული იესოს,  
ოცდაათი ვერცხლის შური იუდას გულს მიესო.  
გზას მივევები ტამრისაკენ ლოცვით ცოდვებს გვერდით,  
ქრისტე აღდგა ჭეშმარიტად!-ქრისტე აღდგა მკვდრეთით...

საქართველო





# 9 აპრილის ხისტიანი ქრონიკა

25 წლის წინ, ქართველი ერის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა. მაშინდელი საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში შემზარავი ტრაგედია დატრიალდა. 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინამდებარე ტერიტორიაზე, საბჭოთა კავშირის სადამსჯელო სამხედრო ნაწილებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რის შედეგადაც 21 უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, უმეტესობა ქალები, მათ შორის იყვნენ სკოლის მოსწავლეებიც. დაღუპულთა გარდა იყვნენ დაჭრილები, დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებით მოინამლა 2000-მდე მომიტინგე.







1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ დასაბამიმისცა საქართველოს თავისუფლებასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს. 9 აპრილი საბჭოთა კავშირის სივრცეში იყო უნიკალური პოლიტიკური მოვლენა, რომელმაც საბჭოთა იმპერიას საფუძველი შეურყია, თბილისის ტრაგედიის შემდეგ, იგივე განმეორდა ბაქოსა და ვილნიუსში, რაც კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟის დასაწყისად იქცა. 9 აპრილი იყო ქართველი ერის გმირობისა და თავისუფლების წყურვილის გამოხატულება, ტრაგედიის შემდეგ

ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მერაბ კოსტავა იტყვის: „ისტორიაში დგება დიდებული წამები, როდესაც ერთად შეკრული ქართველი ერი წარსდგება უფლის წინაშე“.

1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად ორი წლისთავზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო. ამდენად, 9 აპრილი საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ერთდროულად არის ცრემლისა და სიხარულის დღე, ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელი.







# სეზონური ალერგია

გაზაფხული მზისა და სითბოს სიუხვით გვანაზივრებს, მაგრამ ყველას როდი ახარებს მისი მოსვლა - მალე დადგება ყვავილობის ხანა და ბევრს შეასხანებს თავს ცრემლი, სურდო, ცემინება, ქოშინი და სხვა სიმპტომები, ზოგადი სისუსტე. ეს ყველაფერი ალერგიის ნიშანია. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში ორჯერ გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც გაზაფხულს ცრემლებითა და სურდოთი, სხელის შეტევითა თუ ცემინებით სვლავიან. უცხოეთის მონაცემებზე დაყრდნობით, კოლინოზი აქვს დადამინის ყოველ მეხუთე ადამიანს. როგორ დავიხსნათ თავი მისგან? ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე გვიპასუხებს მადლიცინის აკადემიური დოქტორი, უმაღლესი სამედიცინო სკოლა "აიბიტისა" და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ღმა ატარ-ის ასოცირებული პროფესორი, ექიმი ალერგოლოგი ეკა ჩხარტიშვილი.

**- ქალბატონო ეკა, რა არის გაზაფხულის ალერგიის მიზეზი?**

- გაზაფხულის დადგომასთან ერთად იწყება მცენარეების შეფოთვლა და ყვავილობა. ამ პროცესს თანახლავს ჰაერში დიდირაოდენობით მცენარეული მტვრის გამოყოფა. სწორედ მცენარეული მტვრის ნაწილაკები გახლავთ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმ მოვლენების განვითარებისა, რასაც ზოგადად ალერგიულ რეაქციებს ვუწოდებთ.

**- რომელი ალერგიული დაავადებები მწვავედაა გაზაფხულზე?**

- გაზაფხულზე მწვავედაა ყველა ალერგიული დაავადება. ზოგადად, იმატებს ალერგიული ფონი. განსაკუთრებით იმ ადამიანების მდგომარეობა უარესდება, რომელთა ალერგიული განწყობა მცენარეული მტვრისა და მზის

სხივების მიმართ გამოიხატება. გაზაფხულზე ასევე ხშირდება მწერის ნაკბენზე ალერგიული რეაქციები. ზოგჯერ საკმაოდ მძიმე რეაქციებთანაც კი გვაქვს საქმე.

**რაკი მწერის ნაკბენის მიმართ ალერგიული რეაქციები ახსენეთ, იქნებ ისიც გვითხრათ, როგორ შეიძლება გამოვლინდეს ეს რეაქცია და როგორ დავიცვათ ამ დროს თავი?**

- მწერის ნაკბენის მიმართ ალერგიული რეაქცია გაზაფხულზე, ისევე როგორც ზაფხულში, მეტად აქტუალურია. ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ ალერგიული დაავადების მქონე ადამიანები. თუმცა ასეთი სახიფათო ალერგიული რეაქცია ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება განუვითარდეს. გაზაფხულზე უნდა ვერიდოთ:

- ძლიერ არომატული პარფუმერიული და კოსმეტიკური საშუალებების გამოყენებას;
- მკვეთრი ფერის, ჭრელი ან ყვავილებიანი ტანსაცმლის ჩაცმას;
- აყვავებულ და სურნელოვან ხეებთან, ბუჩქებთან ახლოს ყოფნას;

მწერის კბენის შემთხვევაში, თუ შესაძლებელია, ნაკბენის მიდამოში დაუყოვნებლივ უნდა დაიდოს ყინული და მჭიდროდ გადაიხვიოს, იქვე გაკეთდეს ადრენალინის კანქვეშა ინექცია. ყოველივე ეს შეანელებს მწერის შხამის სისტემურ შეწოვას;

პარალელურად უნდა გაკეთდეს ჰორმონული და ანტიჰისტამინური პრეპარატები;

შესაძლოა, დაზარალებულის მდგომარეობა თავიდან უმნიშვნელოდ მოგვეჩვენოს ან სწრაფად გამოსწორდეს, მაგრამ ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს!

დაზარალებული სასწრაფოდ უნდა გადავიყვანოთ უახლოეს



სამედიცინო დაწესებულებაში! მდგომარეობა ყოველ წუთს შეიძლება გაუარესდეს.

**- მეტად გავრცელებული დაავადებაა ბრონქული ასთმა. მწვავედა თუ არა ბრონქული ასთმა გაზაფხულზე და როგორი გამოვლინება შეიძლება ჰქონდეს?**

- ბრონქული ასთმის გამწვავების მრავალი მიზეზი არსებობს. შედარებით რთულად არის საქმე, თუ მაპროვოცირებელი ფაქტორი ისევ და ისევ მცენარეული მტვერია, რომელიც გაზაფხულზე ბუნებრივად იმატებს, ამიტომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ზრუნვა უფრო ადრე უნდა დაიწყოს. პაციენტი მომზადებული უნდა დახვდეს ბრონქული ასთმის გამწვავების ბუნებრივ სეზონს. მკურნალმა ექიმმა უნდა აუხსნას, რომელი საბაზისო მედიკამენტი მიიღოს და როგორ მოიქცეს, თუ გამწვავება მაინც მოხდა. ასეთი მიდგომით შესაძლებელია დისკომფორტის მინიმუმამდე დაყვანა. ასთმის გამოვლენა შეიძლება დაიწყოს:

ხველით; ამოსუნთქვის გაძნელებით, რასაც შეიძლება სუნთქვის გაძნელება მოჰყვეს; მძიმე შემთხვევებში აღინიშნება ღამის ძილის დარღვევით; გულმკერდში შებოჭილობის შეგრძნებით; ქოშინით; ხმაურიანი სუნთქვით.

**- კანის რა ტიპის ალერგიული რეაქციები გვხვდება გაზაფხულზე, რასთან არის ეს დაკავშირებული, როგორ ვლინდება და რით ვუმკურნალოთ?**

- გაზაფხულზე მწვავედა უკვე არსებული კანის ალერგიული დაავადებაც. შეიძლება ითქვას, რომ მზის სხივების მიმართ ალერგიული განწყობა ამ სეზონისთვის აქტუალურია. კანის მხრივ ალერგიული რეაქცია შეიძლება გამოვლინდეს:

ქავილით; აქერცვლით; მომატებული სიმშრალით; სხვადასხვა ფორმის, ზომისა და ფერის გამონაყარით.

აუცილებელია, ამ შემთხვევაშიც მომზადებული ვიყოთ - ვიცოდეთ, კანის მოვლის დადგენილ სქემასთან ერთად გამწვავების პერიოდში რომელი მედიკამენტი დავამატოთ - როგორც შინაგანად მისაღები, ისე ადგილობრივი. ასევე წინასწარ უნდა გვქონდეს შერჩეული მზის სხივებისაგან დამცავი საშუალებაც, რომელიც, ვიცით, რომ ალერგიას არ გვაძლევს

**- ბევრი უპირატესობას ხალხურ, მცენარეულ სამკურნალო საშუალებებს ანიჭებს. შესაძლებელია ალერგიის მკურნალობა ბუნებრივი, მცენარეული საშუალებებით?**

- ბუნებრივ საშუალებებს ალერგიის მკურნალობაში, თუ აღნიშნულ პროფილაქტიკურ საშუალებებსა და ფიზიკურ საშუალებებს ვიგულისხმებთ, თავიანთი ადგილი უკავიათ.

ასევე მნიშვნელოვანია კლიმატოთერაპიის როლი სასუნთქი სისტემის ალერგიული დაავადებების მკურნალობაში. რაც შეეხება ალერგიის სამკურნალოდ მცენარეული საშუალებების გამოყენებას, ალერგიული რეაქციების მექანიზმებიდან გამომდინარე, პირველი რიგის პრეპარატებად ისინი არ განიხილება. მცენარეული საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სიფრთხილით, პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით, უპირატესად - დაავადების თანმხლები მოვლენების მოსახსნელად.

**- როგორ ვუმკურნალოთ ზოგადად ალერგიას? რას ურჩევთ ჩვენს მკითხველს?**

- ალერგიის მკურნალობა მისი პრევენციით, თავიდან აცილებით იწყება. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს ალერგიული რეაქციის არსებობის გამოვლენას, ალერგიის მიზეზის დადგენას და შემდეგ - მასთან კონტაქტის აცილებას. ალერგიის დროს გადამწყვეტია სწორი მკურნალობა. შეიძლება დაინიშნოს ადგილობრივი ან სისტემური მკურნალობა. როგორც აღვნიშნეთ, ექიმის ჩარევის გარეშე ზოგჯერ დროულად ვერ ირკვევა, ესა თუ ის მოვლენა ალერგიული ხასიათისაა თუა არა, გვიანდება გამომწვევის დადგენა, ტარდება თვითმკურნალობა და ასე შემდეგ. მდგომარეობა თანდათან რთულდება, ადამიანი დისკომფორტს განიცდის, ირღვევა მისი ყოველდღიური აქტივობა, ძილი, ცხოვრების ხარისხი. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ექიმის მიერ დროულად დანიშნული სათანადო მკურნალობა. ყურადღება უნდა მიექცეს ქიმიურ სარეცხ და დასასუფთავებელ საშუალებებს. ცემინების, ხველის ან სუნთქვის გაძნელების შემთხვევაში ისინი განმეორებით არ გამოვიყენოთ. ნესტის თავიდან ასაცილებლად ბინა ხშირად უნდა გავანიავოთ, გამათბობელი საშუალებებით ჰაერი არც უნდა ინესტებოდეს და არც ზედმეტად შრებოდეს. ოთახის მტვრის ტკიპას მიმართ ალერგიის დროს სასურველია სპეციალური თეთრეულისა და ლოგინის გამოყენება. რაციონის კორექცია იმისდა მიხედვით უნდა მოხდეს, რომელი პროდუქტის მიმართ გამოვლინდება ალერგიული განწყობა. ცხადია, ასეთი პროდუქტები და მათი შემცველი კერძები რაციონიდან უნდა ამოვიღოთ. ექიმისგან უნდა გვქონდეს მითითება იმის თაობაზე, რომელი მედიკამენტები ვიქონიოთ თან ქალაქგარეთ მგზავრობის დროს, ალერგიის სიმპტომების გაჩენისა და ადრე არსებული მოვლენების განვავების შემთხვევაში. აუცილებელია, დროულად მივმართოთ სამედიცინო დახმარების ცენტრს ან დავუკავშირდეთ მკურნალ ექიმს, რადგან შესაძლოა, საჭირო გახდეს უფრო სპეციალიზებული ჩარევა.



# მეგრულ-ქართული ლექსიკონი

**უბირია** – უცნობი.

**ურიდია** – უშიშარი.

**ფალა** – ფუმფულა, ღაბუა.

**ფაცაცია** – ნაზი, ფუსკურა.

**ფეტელა** – ხელსწრაფი, ფეხმარდი.

**ფაჟა** – ფოლხვი, ხალვათი, გაბერილი, ფილტვის კონსისტენციისა.

**ქადარია** – ფეთიანი.

**ქანდარია** – გადარეული, სიმწრისაგან ხეზე გასული, ტანმაღალი.

**ქანთარი** – ძუის მახეა ერთგვარი. დიდი გრძელი ჭოკი მოიხრება და ძუის მახე ყულფად მიერგება.

**ქარდა** – სერიანი, ჭანგიანი, კლანჭიანი, მეისრის სოლი.

**ქაცარი** – თიკანი.

**ქვარა** – მუცელი.

სიგნეული, ღრმული, ნადირთსანოლი, საშო.

**ქვაჩახია** – ტოტებჩაგრებილი, კარგად დავარჯებული (ხე). ბილიანი კაცი.

**ქიქა** – პირლია, პირდაფრენილი.

**ქორქი** – ეკლიანი ჩირგვა.

**ქურსუა** – მქუსლავი, მოჩხუბარი „მ-ქურსუ“.

**ქუცურუ** – ა – პატარა ტანის.

**ღვამიჩა** – ღვამიუჩა – შავლოყიანი.

**ღურჯია** – მაგარი მსმელი.

**ყალიჩა** – ყალიუჩა – ყელშავი.

**ყურუა** – ყრუ, შეუსმინარი.

**ყურშუა** – ყურნუ „მყურნლავი“, უზომოდ მსმელი.

**ორშია** – ღორმუცელა.

**შარაშია** – მოხეტიალე, გზირი.

**შარუხი** – ბულბულის მზგავსი ფრინველი.

**შარტე** – ჩუტყვავილა.

**შარტა** – სახენაცვავილარი.

**შელი** – ზიარი, წილი, პაი, საზღვრით მეზობელი სამწყემსუროში. მაშველი, შემწე, სათადარიგო.

**შეროზი** – შმაგი.

**ჩარგაზი** – გათელვა.

**ჩახა** – საყელო, ყელზე შემოსახევი, შემოსავლები.

**ჩიბურდი** – უაზრობა, უაზრო ღაპარაკი.

**ჩოკორაია** – მოძიძგილავე, მოკურკურე, მამლაყინწას თვისებისა.

**ცანა** – ქონდრისკაცი, ცეროდენა.

**ცატა** – ციცქნა, ცოტა.

**ციმინტია** – ჭიჭყინა, ლიფსიტა, წერილი.

**ცხაკა** – ღია ფერის გადახუნებული თვალეზი; გაჩხიკინებული გაძვალტყავებული.

**წირღვი** – კვირისთავი

**წიფური** – წიფლი

**წიფურია** – წიფლიანი

**ჭაჭია** – სიმსუქნისმიერ ნაკეცების მქონე ჩვილი.

**ჭილა** – წენგო

**ჭიჭინა** – საქონლის მძიმე ავადმყოფობა

**ჭედია** – მჭიდრო, შემტკიცული; მაგრად ჩადგმული, მკრივი ტანისა.

**ჭოჭუ** – ნელა, მზარდი.

**ჭოჭუა** – დაჭანჭრობება, დასუსხვა.

**ჭკადუ** – ა – მჭედელი.

**ხაჟო** – პატარა გარეული ფრინველი, ჰგავს მწყერს, იყენებენ მიმინოს დასაჭერად.

**ხარჩილა** – ჩხრიალა, ჩაჩხრიალა.

**ხვიჩა** – გაბადრული, მოციმციმე, გაბრწყინებული

**ხორა** – მელოტი.

**ხოჭოლა, ხოჭო** – შავტუხა და გამხდარი ბავშვის მოსაფერებელი სიტყვა.

**ხუნწი (არი)** – მცენარე ერთგვარი.

**ხუნჯგურუ** – ა – დაბალი, სქელ და მხრებანეული კაცი.

**ჯამბურია** – დასაცურებლად შეკრული ხე. ციგა საგრეხელა, ერქვანის დასაკრავი ჯაჭვი.

**ჯალაღინი** – მც. ბურჩხა

**ჯოლოსა** – კომბალი, მძღავრი ხის სახნისი, მსხვილი ტოტი.

**ჯორჯიკა (ჯორჯია)** – ზანტი, ჯანჯალა, საქმეში გვიანი.

**ჯგუბურია** – დაჯირჯვლებული, ჩოფურა კენკილ სახიანი, უხეში ქსოვილი, ყვავილებგამოყრილი.

**ჯელია** – მძღავრი.

**ჯვებე** – მსხვილნაკვეთიანი.

**ჟველია** – ტანაყრილი



# საადრგრომო

საოცრად დათბა. თბილი ჰავა ზამთრის ნარჩენ სუსხს გოტს არ უდებს და სიცივლის აყვანს, გაზაფხულს იბითა და ფურისულებით ნაირფერად მოქარგულ ფარდას უზადებს, გული ხალისობს, შეხედეთ ირგვლივ, სიცივლის ლიბრეტო ამგვგვლებულა, ბუნება მშვენიერების საგალობელს ტილინებს, პლიტრა თვალს გვაცვებს, მხატვრობის სურვილს აღვიძრავს... არ შეგიძლია?... კალამს დასწვდები... გამოხატვის წყურვილი გახრჩობს? აქ ბუნების მეხოტბე პოეტების უკვდავი ტაბუები გამოუტყვებს თვალწინ...

ხარობს ღვლამინა, სითბოსაგან გულდამზრალი, კულმაყრატულა მერცხლებიც თავიანთ ბუდეს უბრუნდებიან, აღამიანებს განსაკუთრებული მოლოდინი იპყრობთ. უფლის აღდგომის სამზადისია, ორმოცდღიანი მარხვა ბოლოსკენ მიდის, ვნების კვირა დგება, მზის ფერი ბაიები თავს ბედნიერად გრძნობენ. ბზობა-ბაიობა ახლოვდება. უფალმა ბზით ფენილი ბილიკი ვირზე ამხედრებულმა განვლო, ვირზე და არა ცხენზე, რაც მშვიდობის ნიშანია, მშვიდობა მოგვეცეს ღმერთმა!

ამასობაში მორწმუნენი თადარიგს იჭერენ, გაბრიელ მთავარანგელოზისგან ქალწულ მარიამისთვის იესო ქრისტეს შობის სიხარულს გაიზარებენ და შემდგომ ამისა 3 დღეში უფლის აღდგომას შეეგებებიან.

დიდი ფესფესი და სამზადისია. მორწმუნე ოჯახები წითელ პარასკევს კვირვებს ტუბავენ და პასკას აცხობენ, იციან, რომ ამით უფალს აღიძვებენ და ორშაბათს თავიანთ მიგვალუბულებს ქრისტეს აღდგომას მოულოცავენ.

მეც ვჭქარობ, იქ ხომ წინაპრების საძვალეა, მივდივართ, ოჯახის წევრებთან ერთად გეზი მშობლთური კუთხისკენ ავიღე.

გვიხარია, თითქოს გულს ხმა აგვომობილსაც ესმისო, ისიც კი ხალისით გარბის, უამრავი მოკითხვა, მილოცვა, მიპატიება-მოპატიება, რაიონი თბილად გვხვდება, სოფელი ტყბილიაო, ამბობენ, იქ ხომ ჩვენი სისხლის და ხორცის აღამიანები მიგვეყვან.

გაზაფხულის სურნელში გახვეულა ბუნება, ძალა გამოგლილი ზამთარი ფეხაკრეფით მიიპარება, გათბა მიწა, ზამთრის სიცივისგან დათრგუნული სოფლის ხალხი წელ-წელა

„სანახშოსკენ“ მიემართება, ერთმანეთთან შეხვედრას მონატრებულნი თბილად მუსაიფობენ და ქალაქიდან ჩასულ სტუმრებსაც ჩვეული გულუხვობით უგებებიან.

ორშაბათია, მიგვალუბულთა სულების მოხსენიების დღე. მთელი სოფელი საფლავებისკენ გაეშურა. სურსათ-სანოვადით დატვირთულნი ძლივს, კვნეს-კვნესით მიიწვევენ წინ, ზოგს ღვინით სავსე ჭურჭელი უჭირავს და სხვებისგან განსხვავებით კვიცივით მიხტის. საფლავები ხორავს დაუმიძიებია, გრძელ-გრძელი სადღეგრძელოებით მიგვალუბულთა სულები სწუხან, რას იზამ, წესი წესია, მიგვალუბულის პატივისცემასთან ერთად სხვისი წამხედურობის და მიმბაძველობის მადნე სენით ვართ შეპყრობილნი. ეს ქართული ტრადიციია, ჩვენი გარდაცვლილებიც ოდესღაც იგივეს აკეთებდნენ.

მასხენდება ან. გარდაცვლილი ეპისკოპოსის მურთაზ ჩახავას სიკვდილი:

გუშინ წვიმდა, დღეს კი ისევ დარია,  
არის რამე ქვეყანაზე უფელელი?  
ეს ცხოვრება სრული კალენდარია  
და ზოგისთვის მოხეული ფურცელი.

არავინ იცის ვისი ფურცელი როდის მოეხვევა და არც ის არის იოლად გასაგები, ქარიშხლიანი ცხოვრების ფომზე ვისთვის როგორ იბრუნებს დროის კამათელი.

სატამო ხანს ოჯახებში მოიყარეს თავი. ხარობს ქვა, ბალახი, სიმარტოვისგან გახუნებული სახლ-ქარი და ეზო-ქარმიდამო. ეს ხანმოკლე სიხარულია. სამშაბათიდან სოფლად კვლავ სამარისებური სიძუმე ისადგურებს. წინა დღეებისგან განსხვავებით, სოფელი დაღუტებულ მაჭარს დამსგავსებია, ისევ ბოქლომდაღებულ სახლები, ისევ გაუკვდავი ბილიკები, ისევ ნაფრისფერი გარემო.

მეც უკან ვბრუნდები და უმალვე მ. ტუბანიძის გენიალური ფრაზები მახსენდება: „მეშინია ეს სამოთხე, ეს ნალკოტი, სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს“.

მეშინია, მაგრამ შიში რომ სიკვდილს ვერ ძხნის, ეს შოთა რუსთაველმა გვასწავლა, ხოლო უბატრონო თხას რომ მგელი სჭამს, ეს კი ხალხურმა სიბრძნემ. დროა, ჩვენი კუთხის გადარჩენაზე ვიფიქროთ!

60670 რეზინაზილი





# ყფრის სასწაული



ახლა აღდგომა მოდის-უდიდესი სასწაული სასწაულთა შორის. მაგრამ მის ბრწყინვალეობას წინ ვნების შეიძულის ტკივილი და გლოვა უძღვის, მაცხოვრის გაყიდვით, ჯვარცმითა და ტკივილით გაჯერებული დღეები. და სწორედ მაშინ, როდესაც გამძაფრებული ტკივილის დატევა შეუძლებელი ხდება, როდესაც მთელი სამყარო დასტირის საფლავად მდებარე უფალს, მორწმუნეებს იმედად და სასოვდ ზეციური ცეცხლი მოუვლინა ღმერთმა-მოუვლინა, როგორც სიკვდილზე ძღვევისა და ზეციური ნეტარების ქეშმარიტი და ხილული მაცნე. წმინდა ცეცხლის გარდამოსვლა ხომ სრულიად აუხსნელი მოვლენაა, რომელიც ყოველწლიურად აღესრულება მაცხოვრის საფლავზე აგებულ ტაძარში. აღესრულება მართლმადიდებელი მღვდელმთავრის ლოცვისა და მართლმადიდებელი არაბების შეძახილების ფონზე. ეს მართლმადიდებლობის ზეიმია.

როგორც მოციქულები და წმინდა მამები გვამცნობენ, უნივთო ცეცხლმა ჯერ კიდევ აღდგომისას გააბრწყინა ქრისტეს საფლავი. ხოლო აღდგომის ტაძარში, რომელიც მაცხოვრის საფლავზეა აშენებული, იგი პირველად მესამე საუკუნეში გადმოვიდა: სააღდგომო ლიტანიობაზე კანდელში ცეცხლი შემოკლებიან და, პატრიარქ ნარცისის კურთხევით, კანდელში სილოამის ემბაზიდან ჩაუსხამთ წყალი. კანდელების წყლით ავსების შემდეგ ზეციდან გადმოსულ ცეცხლს აუნთია ისინი და ასე ყოფილა ლიტანიობის დასრულებამდე. მას შემდეგ ეს სასწაული ყოველწლიურად მეორდებოდა. მაგრამ მის აღსასრულებლად სამი პირობის დაცვა იყო ყოველთვის საჭირო: ტაძარში უნდა ისმოდეს არაბი მართლმადიდებლების ყიფინა (ერთხელ გააძევეს ისინი ტაძრიდან, მაგრამ, რამდენიმე საათის უნაყოფო ლოდინის შემდეგ, მიხვდნენ და დააბრუნეს. მათი დაბრუნებისთანავე ზეციურმა ცეცხლმა გაანათა ტაძარი); საბანძინდის ლავრის ბერების ლოცვა უნდა აღევლინებოდას ეკლესიის კედლებში და კუვუკლიაში მხოლოდ მართლმადიდებელი პატრიარქი უნდა იყოს შესული. ერთხელ მონოფიზიტებს მოუსყიდათ ქრისტეს საფლავის მცველი თურქი ჯარისკაცები, გარეთ გამოუძევეს იერუსალიმის პატრიარქი და თავიანთი მწყემსმთავარი შეუშვიათ შიგ. მართლმადიდებელი სასულიერო პირი მრევლთან ერთად აცრემლებული დამდგარა ერთ-ერთი სვეტის უკან და ფიქრობდა, რომ სწორედ მისი ცოდვების გამო ვერ გახდა ცეცხლის მიღების ღირსი. უცებ დაიქუხა, მარმარილოს სვეტი გაიპო და ნაპრალიდან გადმოსულმა ცეცხლმა მართლმადიდებელი პატრიარქის სანთლები აანთო. მას შემდეგ აღარავის გასჩენია სურვილი, იერუსალიმის პატრიარქის მაგივრად შესულიყო კუვუკლიაში.

დიდი შაბათის ეს სასწაული ქეშმარიტად მართლმადიდებლობის ზეიმია.

მაცხოვრის საფლავი ცვილის ბეჭდითაა დალუქული. იერუსალიმის პატრიარქს გულმოდგინედ ჩხრეკენ და მხოლოდ ამის შემდეგ უშვებენ კუვუკლიაში. და იწყება დაძაბული მოლოდინი, რომელსაც თან შიშით ახლავს-სასწაული თუ არ აღესრულა, ეს სამყაროს დასასრულის დასაწყისის მომასწავებელი იქნება. ასე რომ, ყოველწლიურად მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლა ეს ჩვენთვის ნაწუქარი კიდევ ერთი წელიწადია, ღვთის გულმონყალებისა და სიყვარულის კიდევ ერთი დასტური.

იერუსალიმის პატრიარქთა მონაზონით, ცეცხლის გარდამოსვლის წინ მაცხოვრის საფლავს ფილა "საუცხოო ფერებად მოვლვარე მძივის მარცვლებივით მიმოზნეული" "მარგალიტებით" იფარება. ბამბით შეგროვებისას ეს მარგალიტები ზეთის წვეთებით ეკვრიან ერთმანეთს, ხოლო ბამბა, რომლითაც ამ წვეთებს აგროვებენ, სითბოს გამოსცემს. ბამბის სანთელთან მიახლოებისთანავე სანთლის პატრუქს ცეცხლი ეკიდება და ინთება. მაშინვე თავისით ინთება მაცხოვრის საფლავის ყველა კანდელიც. ცეცხლის გარდამოსვლისას ტაძრის მთელი სივრცე მოცისფრო ელვით ნათდება, ხოლო თავად ცეცხლი თბილია და დაახლოებით 10-15 წუთის განმავლობაში საერთოდ არ წვავს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის ღვთაებრივ წარმომავლობას.